კვირა, 25 აპრილი. 1910 ფასი ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური

№ 2. ოთველკვირეული გაზეთი. № 2.

შინაარსი: მეთაური.—შინაური მიმოხილვა, ნარისა.—დუმა.—საზღვარ-გარეთი.—რუსეთის ცხოვრება.—ქართული ხელოვნება და სინამდვილე, ყარიბისა.—მძულკარება, ლექსი გ. ქუჩიშვილისა.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—ქართლის რაინდი, ლაშურელისა.—სოციალიზმი და ანარქიზმი, რაიესპერ ისა, თარკმანი.—განცხადებანი.

1910 წლის 18 აპრილიდან ქ. თფილისში გამოდის
საპოლიტიკო, სამეცნიერო ჯ სალიტერატურო
ოთველკვირეული გაზეთი
„მოგზაური“
მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ახოსპირელი, ბესოშვილი, გრ. გიორგაძე, ი. გომართელი, ნ. ელიავა, ვიქტორი, თურდოსპირელი, პ. ირეთელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, ვ. მალაქიაშვილი, რ. ლეჩხუმელი, ნატო, მ. სხვაველი, გ. ქუჩიშვილი, ყარიბი, ს შაუმიანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი—ერთი წლით—5 მან. ნახევარი წლით—3 მან. ერთი თვით—ათი შაური. პირველი №-დან წლის დამდეგამდი 3 მ. 50 კ. ცალკე ნომერი **ორი შაური**. ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე რამდენიმე ნომერზე, ორ-ორი შაურის ანგარიშით, არა ნაკლებ ხუთისა.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ. უკანასკნელზე—10 კაპ.

დროებით სოლის მოწერა მიიღება მ. ჯილაძის სტამბის კანტორაში—ვილიამინოვის ქ. სახ. № 6

გაზეთში დასაბეჭდი წერილები და კორესპონდენციები უნდა იყოს დაწერილი სუფთად, უპეველათ ერთ გვერდზე.

ვრცელი სტატიები შეინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში. დანარჩენებზე რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის ხარჯის წარმოდგენა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“, Соломону Евстафіевичу Телія. (Типог. Киладзе)

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ფ. მგელაძე.

თფილისი, 25 აპრილი.

დღეს მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღება მიქცეულია პატარა ფინლიანდიაზე, რომელსაც დიდი უბედურება ატყდება თავზე.

ას წელზე მეტია, რაც ფინლიანდია რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოვიდა, მაგრამ შინაური საქმეების გამგებლობაში სრული ავტონომია ქონდა შენარჩუნებული და რუსეთთან მხოლოდ ის აკავშირებდა, რომ რუსეთის იმპერატორი იმავე დროს ფინლიანდიის დიდი მთავარი იყო. ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი თავისი, საკუთარი ქონდა. დიდ-მთავარს, რუსეთის იმპერატორს, თავის წარმომადგენლათ და უმაღლესი მართვა-გამგეობისათვის ფინლიანდიაში ყავდა გენერალ-გუბერნატორი. იმ დროს, როცა რუსეთში სიტყვა კონსტიტუცია სახმარათაც კი აკრძალული იყო და მაზე ფიქრი დიდ სახელმწიფო დანაშაულათ ითვლებოდა, ფინლიანდიას სახალხო წარმომადგენლობა ქონდა და ის განაგებდა მის საქმეებს.

საგრძნობელი გასაჭირი დაადგა ფინლიანდიის კონსტიტუციას ეგრეთ წოდებულ ბობრიკოვის ხანაში, რომელიც მისი დანიშვნით იწყება და სრულდება რუსეთში კონსტიტუციის გამოცხადების თარიღით. რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებით ფინლიანდიამაც ისარგებლა. მან დაიბრუნა ყველა ბობრიკოვის დროს წართმეული უფლებები და კონსტიტუციაც შესაძჩნევათ დემოკრატიული შემოიღო; გაფართოვდა პოლიტიკური საარჩევნო უფლება, რომელითაც მონაწილეობის უფლება ქალებსაც მიეცა და სეიმი შეიქნა ნამდვილი ხალხის წარმომადგენელი. ამის შემდეგ ფინლიანდია სრულიად დაწყნარდა და შეუდგა შინაური საქმეების მოწყობას. ხალხის წარმომადგენლობა, რომელშიც საგრძნობელი როლი დაეთმო მუშათა პარტიას, შეუდგა ამ პარტიის ინიციატივით და გავლენით სოციალური საკითხების მოგვარებას, რამდენათაც ეს შესაძლებელია არსებული კაპიტალისტური წესწყობილების დროს. მაგრამ ამ ნიადაგზე მოღვაწეობა აღარ დასცალდათ. შინ (რუსეთში) რეაქციით წელმომაგრებულმა მმართველმა ბიუროკრატიამ ველარ აიტანა იმავე იმპერიის საზღვრებში პატარა კულტურული ერის თავისუფლება და აი, დღეს ყოველ ღონეს ხმარობს თავისი მოსისხლე მტერი—თავისუფლება—იქაც შეზღუდოს. ბიუროკრატიის ამ სურვილს ეთანხმება და ადასტურებს მესამე დუმის უმრავლესობა, რომელიც შესდგება რუსეთის ხალხის ცრუ წარმომადგენლებისგან,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს რუსეთის ხალხის უმრავლესობის სურვილ-მოთხოვნილებებთან და მხოლოდ უკანონოთ სარგებლობს ხალხის „წარმომადგენელის“ სახელით. ამ უმრავლესობაში შედიან თავად-აზნაურთა წოდებრივ უპირატესობათა დამცველი მემარჯვენენი ყველა რანგისა და იმპერიალისტური ლტოლვილებით გაჟღენთილი კაპიტალის წარმომადგენელნი. ამ ორი ელემენტის ხელშია დღეს რუსეთის ხალხის წარმომადგენლობა და ყველასათვის აშკარაა, რომ მათგან ფინლანდიას კარგი არაფერი მოელის. ისინი მზათ არიან ეს კულტურული ერი სრულიად გაუთანასწორონ ყოველ-გვარ უფლებებში იმპერიის დანარჩენ მცხოვრებთ. პირველთ, გარდა იმ შიშის ზარისა, რომელსაც სცემს მათ ყოველგვარი თავისუფლება, ამოქმედებთ აგრეთვე სურვილი თავის სათავლ დუმათ აქციონ ეს დღემდე მათ კლანჭებს გადარჩენილი ერი, და რადგან „გათანასწორებული“ ფინლიანდია საიმპერიო ბიუროკრატიის ხელში გადავა, იციან, რომ ეს მათი პირმშო შვილი მათ ამაგს არ დაივიწყებს და ფინლიანდიაშიც ისინი იპარპაშებენ სხვადასხვა მოხელეთა სახით. მეორენი დაინტერესებული არიან თავისი მებრძოლი იმპერიალიზმით, რომლის მთავარი მოტივი მათივე კაპიტალისათვის ახალი ბაზრის დამორჩილების საჭიროებაა. აი, ეს მოტივები ამოქმედებს სახელმწიფო დუმის უმრავლესობას, რომლის დასტური ყველაფერში უზრუნველყოფილია დღევანდელი მთავრობისათვის.

მთავრობამაც ამ მოსაზრებით წარმოუდგინა დუმას კანონ-პროექტი (იმპერიის და ფინლიანდიის) საერთო სახელმწიფო საქმეების მოწყობის შესახებ, რომელიც პირდაპირ რომ ვთქვათ, სპობს ფინლიანდიის ავტონომიას და ყველა მათ საქმეებს უმორჩილებს იმპერიის მინისტრთა საბჭოს და შემდეგ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათ. ფინლიანდიის სეიმი კი არსებითათ სათათბირო ორგანოთ უნდა გადაიქცეს.

რა თქმა უნდა, ასეთ თავდასხმას ფინლიანდიის თავისუფლებას მოყვარული ხალხი გულგრილათ ვერ შეხვდებოდა და პირველ ყოვლისა იმითი განაცხადა თავისი პროტესტი, რომ რამდენიმეჯერ მომხდარ არჩევნებში თვისი წარმომადგენლობა დიდ უმრავლეს შემთხვევაში ისეთ პარტიებს ჩააბარეს, რომელნიც არავითარ კომპრომისებს არ მოურიგდებიან სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეში. მართლაც, დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ახლათ არჩეული სეიმი უარყოფს რუსეთის მთავრობის მიერ წარდგენილ კანონ-პროექტს. ან კი რათ უნდა გაგვიკვირდეს მათი ასეთი საქციელი! რომელ ერს შეგვიძლია მოვთხოვოთ თავისი თავის უარყოფა? შეიძლება იგი დაემორჩილოს ფიზიკურ ძალას, რომელიც უკვე გამზადებულია ფინლიანდიისათვის, თუ საქმეთა მიმდინარეობამ ბიუროკრატიისათვის არა სასურველი ხასიათი მიიღო, მაგრამ თავის ნებით რომ ღირსება აიყაროს, ეს არ არის მოსალოდნელი ისეთი კულტურულათ და პოლიტიკურათ მომწიფებულ საზოგადოებისაგან, როგორსაც წარმოადგენს ფინლიანდია.

ეს კი უფრო ართულებს მდგომარეობას. რა მოყვება ასე კითხვის დაყენებას, ძნელი საწინასწარმეტყველოა, მხოლოდ ერთი კი აშკარაა — ფინლიანდია დღევანდელ პირობებში ვერ შესძლებს გაუმკლავდეს რუსეთის ბიუროკრატიას, ასე რომ, თუ ეს ორი მოპირდაპირე მარტო დარჩა ერთი მეორის წინააღმდეგ, ფინლიანდიის საქმე, დროებით, რასაკვირველია, წაგებულათ უნდა ჩაითვალოს.

დროებით-თქო ვამბობთ, რადგან თვით რუსეთის ყველა მოწინავე ელემენტები წინააღმდეგი არიან ფინლიანდიის ავტონომიის მოსპობისა. ასე ეყურებენ ამ კითხვას დუმის ყველა მემარცხენე პარტიები დაწყებული კადეტ-პროგრესისტებიდან სოციალ-დემოკრატებამდე. მათ უკვე გამოთქვეს თავისი აზრი კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის დროს, როდესაც აღნიშნეს, რომ თვით ამ კანონ-პროექტის შემოტანა წარმოადგენს ფინლიანდიის და რუსეთის ძირითადი კანონების დარღვევასაო და მოითხოვეს სრულიად არ მიეღო დუმას იგი განსახილველათ. ეს მოკავშირე კი მეტათ ძლიერია ფინლიანდიისათვის, რადგან დღეს თუ არა, ხვალ მაინც ამ ელემენტების (სახეში არა გვყავს უკიდურესი მემარცხენენი) ხელში უნდა გადავიდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე.

აქედან სჩანს, რომ ფინლიანდიის მოკავშირეა დღეს რუსეთის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, რადგან მხოლოდ ოპოზიცია არის ამ უმრავლესობის აზრის გამომხატველი, ასეთი მოკავშირე კი დიდი ნუკეშია, თუმცა დღეს-დღეობით იგი უძლურია გაიტანოს თავისი.

მეორე მოკავშირეც გამოუჩნდა ფინლიანდიას. ეს არის ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც იმდენათ ძლიერი და ერთსულოვანია, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებშიც კი შეანგრია ჩვეულებრივი ნეიტრალიტეტის კედელი. მთავრობას უკვე მიმართეს ამ საგნის შესახებ შეკითხვით ინგლისის პარლამენტში. 2-ს აპრილს დეპეშებიდან გავიგეთ, რომ ბელგიის პარლამენტის წევრებს უკვე მოუწერიათ ხელი საპროტესტო რეზოლუციაზე ფინლიანდიის ავტონომიის დამრღვევთა წინააღმდეგ. იმავე დეპეშების ცნობით ასეთისავე რეზოლუციის გამოსატანათ ემზადებიან ინგლისისა და საფრანგეთის დეპუტატებიც.

ყველა ამას კი არ შეიძლება მცირეოდენი გავლენა მაინც არ ექნეს რუსეთის ბიუროკრატიაზე, თუმცა მაინცა და მაინც დიდ იმედებს ვერ დაამყარებს მაზედ კაცი, რადგან არც ისეთი მგრძნობიერია იგი ევროპის საზოგადოებრივი აზრისადმი: და თუ ჩვენ მაინც მოველით ასეთ გავლენას, ეს იმით აიხსნება, რომ აქ მარტო ჰუმანიური გრძნობა როდი ამოქმედებს ევროპიელებს. სოციალისტურ პარტიებს ამოქმედებს ს�ი შეგნება ყოველგვარი ჩაგვრა-ძალადობის, უსამართლობისა; მათი წარმომშობი მშრომელი კლასი არავის დაჩაგვრაში არ არის დაინტერესებული, პირიქით, იგი იბრძვის საერთაშორისო პროლეტარული დროშის ქვეშ საერთო ბედნიერების დასამყარებლათ და ნათლათ აქვთ შეგნებული, რომ ყოველი ერის მონობაში ჩავარდნა ხელს უშლის მათ საერთო საქმეს. დანარჩენები უფრო ვიწრო კლასობრივი ინტერესების დამცველებათ გამოდიან და ბელგიელები პირდაპირ ამბობენ, რომ რუსეთის მიერ ფინლიანდიის ავტონომიის უარყოფა და მისი საერთო

საიმპერიო ეკონომიური პოლიტიკის ქვეშ დაყენება ავნებს ჩვენი კაპიტალის ინტერესებსო. აქედან ნათლათ სჩანს, რომ უცხოელი კაპიტალია დაინტერესებული ფინლიანდიაში არსებული წესწყობილების დაცვაში. ამ კაპიტალს კი ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთის მთავრობამ, რადგან დღეს-ხვალ მასვე მიადგება კარზე სესხისათვის, მაგრამ, უნდა გავიმეოროთ, რომ ამ გავლენას არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

ფინლიანდიის ბედ-იღბლის გადამწყვეტი მხოლოდ თვით რუსეთში არსებული ძალთა განწყობილებაა; სანამ რუსეთში ძველი რეჟიმია, დროს გადასულ კლასთა მთავრობაა გაბატონებული, მისი ბედიც ძაფზე იქნება ჩამოკიდებული. დღეს რომ გადაიდვას კითხვის გადაჭრა, ხვალ იმავე ფაზაში შევა. ერთათ-ერთი ხსნა ფინლიანდიისა მთელ რუსეთთან ერთად ახალ საზოგადობრივ ძალთა გამარჯვებაშია და ამიტომ ფინლიანდიელები სხვა ერებთან ერთათ უნდა შეეცადონ საერთო პირობების შეცვლას, მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ისე მოწყობას, როგორც ამას მშრომელთა ინტერესები მოითხოვს. მხოლოდ მაშინ იქნება მათი საქმე უზრუნველყოფილი ყველა სხვა ერებთან ერთათ.



შინაური მიმოხილვა

საერთოთ, გამეფებული რეჟიმი ყველა წვრილმან მოვლენებშიაც აგრძნობინებს ხოლმე ადამიანს თავს და ამიტომაც არის, რომ მიუხედავათ ბევრგზის გამოთქმული საყვედურისა, ჩვენს თვალსაზრისზე მდგომი მწერლობა და კერძო მოღვაწეები დიდ ყურადღებას აქცევენ საერთო კითხვებს. ჩვენც, სხვებთან ერთათ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი ცხოვრების მთავარი ტკივილები მხოლოდ მაშინ შემსუბუქდება, როცა მთელი იმპერიის ცხოვრებას მოეშვება შემოჭერილი სალტეები. უამისოთ კი შინაური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი მხოლოდ ოცნების ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს.

რომელ შინაურ ორგანიზაციას და რეორგანიზაციას შეუძლია თავიდან მოგვხსნას, შინაურსავე კითხვებში, ის საერთო აღვირ-ახსნილობა, რომლის სისასტიკესაც განიცდის ჩვენი საზოგადოება დღევანდელ პირობებში, როცა თვით უვარგისი და დროს გადასული კანონის ასრულებაც კი სანატრელათ გაგვხდომია?!.. როცა მთელი სოფლის, მაზრის და გუბერნიის მცხოვრებთა ბედ-იღბალი თითო-ოროლა მოხელის ხელშია ჩაგდებული და ხალხს აღარ დარჩენია არავითარი საშვალება მათ თვითნებობასთან საბრძოლველი?!! ვის შეუძლია თქვას, რომ ეს მათი თვითნებობა, მათი აღვირახსნილობა ადგილობრივ ძალთა დაქსაქსვის ან შინაური მოუწყობლობის შედეგი იყოს?

პირ-იქით, ყველა დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ასეთი მოვლენა თუ შემთხვევა ერთი ნოტაა იმ სულის შემხუთველ და გულის შემზარავი სიმფონიისა, რომელსაც გამარჯვებული ბიუროკრატია და მისი აგენტები ასრულებენ დღეს მთელი იმპერიის სივრცეზე. ეს არის საერთო სენი მთელი სახელმწიფოსი და მისი მოშორებაც მხოლოდ საერთო ძალებით შეიძლება.

ასეთია, საზოგადოთ, ჩვენი შეხედულება ადგილობრივ ჭირ-ვარამზე, მაგრამ ეს არ გვანთავისუფლებს ცხოვრების მეთვალყურის მოვალეობისაგან, რომელიც გვავალებს აღვნიშნოთ ხოლმე ჩვენს გამოცემაში ყველა ადგილობრივი მოვლენები. ჩვენც ვიწყებთ ამ მოვალეობის ასრულებას და უფრო—ერთ შემთხვევაში სწორეთ აქ, ამ ადგილას გვექნება მკითხველთან ყველა ამაებზე ლაპარაკი, რადგან იშვიათი შეხვედრა ხელს არ გვიწყობს ყოველ მათგანზე ცალკე წერილებში ვიქონიოთ მსჯელობა. აქვე მოვიხსენიებთ აგრეთვე იმ გარეგნულათ წვრილმან, მაგრამ არსებითად მაინც საყურადღებო მოვლენებს, რომელთა შესახებ არც კი არის საჭირო განკერძოებული მსჯელობა, რადგან იმედი გვაქვს ჩვენ და მკითხველი რამდენიმე სიტყვითაც გავიგებთ ერთმანეთის გულის ნადებს და ვეცდებით ამ ადგილას წარვუდგინოთ მას მოკლე ანგარიში კვირიდან კვირამდე მომხდარი ამბებისა.

***

მართალია, გასული კვირა დიდი საქრისტიანო დღესასწაულების კვირა იყო, ისეთი დღეები იყო, როცა თვით უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანიც ცდილობს ტრადიციულ მხიარულებას და მოსვენება-გართობას მიეცეს, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, ნათქვამია, და გასული კვირის ქრონიკაშიც საკმაოთ მოიპოვება დამაფიქრებელი ამბები. აიღეთ „ჩვენი გაზეთის“ № 16-ში მოთავსებული კორესპოდენცია გურიიდან.

რა უნდა ქნას ასეთ პირობებში მყოფმა ხალხმა? როგორც კორესპოდენტი იწერება, ჩოხატაურის საბოქაულოს გლეხებისათვის ადგილობრივ ადმინისტრაციას გადაუხდევინებია მემამულეებზე შეწერილი მიწის ბაჟი, ე. ი. ისეთი გადასახადი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს გლეხებთან, რომელიც კანონის აზრით მიწას ადევს და თვით ქონებამ უნდა გადაიხადოს. ეს ბაჟი გადაუხდევინებიათ დარაჯებისა და პოლიციის ძალით, რომელთა შენახვა ბაჟის აკრეფის დროს იმავე გლეხებისათვის დაუვალებიათ. ეს ხომ იგივე ცნობილი ეკზეკუციაა!

მერე რა უფლებით, რომელი კანონის ძალით ახდევინებდენ გლეხებს ერისთავების გადასახდელ ბაჟს? ამ კითხვის გამორკვევა მოუსურვებიათ იმავე ბედში მყოფ ჩოხატაურის მოვაჭრეებს, გაუსაჩივრებიათ პოლიციის ადგილობრივი აგენტის მოქმედება და პასუხი მოსვლიათ, რომ საქმის გამოძიება მიენდო იმავე აგენტს, რომელიც ბაჟების მოკრეფას ხელმძღვანელობდა. როგორი სამართალი და განაჩენი გამოუვათ, ადვილი მისახვედრია!..

***

ვინ იცის, რას განიცდიდენ ამავე დღესასწაულების დროს ჩდილისა და დეისის სოფლის საზოგადოებანი (ზემო იმერეთშია), რომელთაც ასევე თავისუფლათ არბევდა ცნობილი თ-დი გიორგი ამილახვარი. ეს თავადი რამდენიმე ათას მანეთს ედავება ხსენებულ სოფლებს, რაში—არც თვით სოფლელებმა იციან კარგათ. პირველათ ტყის გაჩეხა მოუმიზეზებია და ისიც მოძრაობის დროს, შემდეგ სახნავი მიწების იჯარა და საძოვრისაც, მაგრამ იმ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების ბედზე აქ ყოფილა დეპუტატი გეგეჭკორი, ის ჩარეულა საქმეში, გაუცვნია ვითარება ადგილობრივი უმაღლესი მთავრობისათვის და იმ დასკვნამდი მიუყვანია, რომ ადმინისტრაციას შესაძლებლათ უცვნია, სასამართლოსკენ ეჩვენებია გზა მადა გახსნილი თავადისათვის, მაგრამ გაიარა დრომ, დეპუტატი თავის მოვალეობის ასასრულებლათ პეტერბურგში გაემგზავრა, უმაღლესი ადმინისტრაცია თავის „უმაღლეს“ საქმეებში გაერთო, ადგილობრივ კი ისევ გლეხები, თავადი და ადგილობრივი პოლიციის აგენტები დარჩენ. თავადმა ისევ მოიგუნება გლეხებზე „დარჩენილი ფულის“ მოკრეფა და რადგან სასამართლოსკენ ნაჩვენები გზა, სხვა არა იყოს რა, უფრო ხანგრძლივი და შორი არის, ისევ ადმინისტრატიული წესით გადახდევინება ამჯობინა. პოლიცია, რასაკვირველია, ხათრს ვერ გაუტეხდა და შეუდგენ ეკზეკუციის ძალით ფულის მოგროვებას, მაგრამ რადგან სოფელში ფული არ არის, თავადის „ვალის“ დასაკმაყოფილებლათ გამოზიდეს ნაჭაქვაბები, სამუშაო იარაღები, ქალების ნაჭზითვი ლოგინ-ბალიშები, გამოუხსნეს ულელში გაბმული მუშა საქონელი და ყოველივე ამას მოუყარეს თავი სოფლის კანცელარიაზე.

გლეხებმა ისევ დეპუტატებს მიმართეს, დეპუტატებმა, დეპეშით აქაურ მთავრობას, მაგრამ რით გათავდა საქმე, ჯერ არ ვიცით. დეპუტატებს განზრახვა აქვთ შეკითხვა შეიტანონ დუმაში და ვნახოთ რით გაამართლებს ადგილობრივი ადმინისტრაცია თავის მოქმედებას.

* * *

რადგან გლეხების გაჭირვებაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ის დამახასიათებელი შემთხვევა, რომელსაც წარმოადგენს ჩოლოქის (გურია) მიწების გარშემო ატეხილი დავაც. თავად ნაკაშიძეებისაგან ამ წინაზე სახელმწიფო ბანკს დარჩენია იმავე ბანკში დაგირავებული ჩოლოქის აგარაკი ზომით 552 დესეტინა. ამ მიწების შეყიდვა განუზრახავთ ეგრეთ წოდებულ ახალშენელებს, რომელნიც უმთავრესათ სოფელ ხიდისთავის მცხოვრებ გლეხთაგან შედგებ. დაუწყიათ კიდეც მოლაპარაკება ბანკთან და მორიგებულან ფასში. ამ დროს მათ გამოდავებია სხვა მეზობელი სოფელი, ლიხაური და მაკვანეთი, რომელნიც ისეთსავე მიწის სივიწროვეს განიცდიან, როგორც პირველნი. ატეხილ დავაში პრესაც ჩაერია და ბოლოს შინაურული სამედიატორო სამართლით გადაწყვიტეს საქმე. სამწუხაროთ, ეს განაჩენი, რომელიც ღიაურ გაზეთებში უკვე გამოცხადებულია, ვერ აკმაყოფილებს ერთ-ერთ მხარეს და თუ დროზე არ ეშველა, ისევ მოსალოდნელია მეზობელ სოფელთა შორის საშინელი შუღლი და მტრობა, რომელიც, ვინ იცის, სანამდის მიაღწევს...

დამახასიათებელია ეს მოვლენა ერთი მხრით. პირველი მით, რომ ჩვენი თავადები მიუხედავათ „ნაციონალ-დემოკრატიული“ ინტელიგენციის ტერიტორიაზე და მის დაცვაზე ღიღინისა, თავისუფლათ ატოვებენ თავიანთ მამულებს სახელმწიფო ბანკს, რომლისგანაც ყველაფერია მოსალოდნელი. დამახასიათებელია იგი ჩვენი გლეხობისაც რომლის მიწის სივიწროვე იმდენათ მწვავეა, გლეხები მზათ არიან ყველაფერი გაყიდონ, ოღონ კი მიწა ჩაიგდონ ხელში, და ეს მათი სურვილი იმდენი ძლიერია, რომ ერთმანეთში მტრობისა და შუღლის ჩამოგდებასაც არ უფრთხიან. ეს მოვლენა ბევრი მხრით არის საგულისხმო, მაგრამ ახლა მათზე შეჩერების დრო არ არის და ჩვენ გულწრფელათ ვურჩევთ ორივე მოცილე მხარეს, მიიღონ მხედველობაში მათ მიერ არჩეულ მედიატორეთა გადაწყვეტილების პირველი მუხლი, რომელიც ორივე მხრის თანასწორ უფლებას ცნობს ამ მიწებზე და ისე ძმურათ გაინაწილონ.

* * *

იგივე მიწის საკითხი დღეს აინტერესებს ჩვენი დედა-ქალაქის მცხოვრებლების ერთ ნაწილსაც. მიწის კითხვა უდგიათ თვალწინ ნაძალადეველებს, რომელნიც ქალაქის მიწებზე მოსახლეობენ; ამავე კითხვით არიან და იყვენ გატაცებული ყველა უკანასკნელი წლების ქალაქის განაპირა ნაწილების „კოლონისტები“ და „ახალშენელებიც“. ბევრმა მათგანმა თავისი უკანასკნელი მონაგარიც კი ჩატოვა ამ საქმეში და დღეს, როგორც იტყვიან, მტირალ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული. მაგრამ დღეს ამ საგანზე არ გვინდა შეჩერება. ვიტყვით მხოლოდ, რომ სოფლისა და ქალაქისთვის ამ კითხვას სულ სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს; სოფელში მიწა საწარმოოთ უნდათ, ქალაქის უმწეო ხალხი კი საზოგადოთ მიწის შეძენით ფიქრობს თავი მოუაროს ერთ მწვავე საკითხს თავის ცხოვრებისას, სახელდობრ, ბინით მაინც უზრუნველყოს თავისი თავი და ოჯახი. აქ მიწის შეძენა მდგომარეობის გაუმჯობესების ერთი საშვალებთაგანია, სოფელში კი მშრომელი გლეხობისათვის იგი ყველაფერია. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ ერთ მნიშვნელობას არ ვაძლევთ ამ ორ მოვლენას, მით უმეტეს, რომ ქალაქში ძალიან ხშირათ მიწის შეძენის საქმეს ისეთი ელემენტი ახლავს, რომელიც ჩვენი მხრით სრულებით არ არის წასაქეზებელი და თუ ამ საგანზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, მხოლოდ იმიტომ, რომ სოფლის გლეხობის გაჭირვების მოხსენიებამ მოგვაგონა ჩვენი ქალაქის ერთი უბნის გაჭირვება, რომლის „ყოფნა არ ყოფნა“-ც მიწაზე და ამ მიწის პატრონთა სურვილ-ნებაზე არის დამოკიდებული.

ქ. თფილისში ცხოვრობენ, ეგრეთ წოდებული, ვერელი გლეხები. ბინადრობენ ისინი უხსოვარი დროიდან ვერის ქართული ეკლესიის მეზობლათ მდებარე მიწებზე: ეს მიწები ძველათ ბარათოვის საკუთრება ყოფილა, შემდეგ შეუძენია თამამშევს, ამისაგან ვიღაც პატრიანცს, შემდეგ მეღვინოვს და ახლა შეადგენს თფილისში და კავკასიაში კარგათ ცნობილ მილიონერის არამიანცის საკუთრებას. მიწის მესაკუთრეთა ასეთი ცვლა მასზე დაბინავებულ მცხოვრებლებს (რომელთა რიცხვი კომლობით 65-მდეა, ანუ სულობით თუ იანგარიშებთ 400—500 არა ნაკლები) არც კი შეუტყვიათ, რადგან მათ არავინ არ უშლიდა ძველათაგანვე დაკავებულ მიწებზე ცხოვრებას ისე, როგორც თავის საკუთრებაზე. მხო-

ლოდ მეღვინოვის მფლობელობის დროს ატყდა დავა, რომელიც სასამართლომ მეღვინოვის სასარგებლოთ გადაჭრა და მცხოვრებლებს დაევალათ მამულის დაცლა. ზოგი მათგანი ააწიოკეს კიდეც, მაგრამ ამ დროს 1905 წელმაც მოატანა და მიწის პატრონები შეჩერდენ. აყრილთ ისევ დაიჭირეს თავისი მიწები და საქმე ისევ თავის კალაპოტში ჩადგა. დაწვრილებით ამ ისტორიის მოყოლა შორს წაგვიყვანდა და არცა აქვს დიდი მნიშვნელობა. დღეს მიწა დოკუმენტებით არამიანცს ეკუთვნის, რომელსაც შეუსყიდია იგი და გასული 1909 წლიდან იწყება ხელ-ახალი ტანჯვა-ვაება ამ მიწებზე დაბინავებული ხალხისა. თვეში ერთხელ, ხან კიდევ უფრო ხშირათ, ბ-ნი არამიანცის საქმეთა გამგენი მოაგონებენ ხოლმე ვერელებს მიწის დაცლის აუცილებლობას და ვერელების უბედურებაც მაშინ იწყება. საქმესთან დაახლოვებულ პირთაგან ვიცით, რომ არამიანცს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი მიწის დაცლევინება და მოსალოდნელი არ არის ფულათაც მიყიდოს ზედ დაბინავებულ ხალხს. მხოლოდ სკანდალის ასაცილებლათ მზათ არის მცირეოდენი შემწეობა მისცეს ამ განწირულ ხალხს და ამითი უნდა ისე მოაწყოს საქმე, რომ მცხოვრებლები ნებაყოფლობით დამორჩილდენ თავიანთ ბედს. მაგრამ ვინც იცის, რომ ეს ვერელები მრავალ მხრივ არიან დაკავშირებული თავიანთ უბანთან, ვინც იცის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ნამდვილი ღარიბ-ღატაკია, ის ადვილათ გაიგებს, თუ რას წარმოადგენს მათი ამ ადგილიდან გადასვლა მაშინაც კი, რომ მთელი მათი ნაამაგარის, სახლ-კარობის და მიწის ფასსაც აძლევდენ! მაგრამ ბ. არამიანცი, ეს ვითომდა ქალმოქმედებით ცნობილი კაპიტალისტი, ყველა ამაებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მას მოსწონს ამ ბედ-შავი ხალხით დასახლებული მიწები, ცდილობს შეარგვალოს ამ მიწის საზღვრები მომიჯნავე ნაჭრების შეყიდვით და 400—500 სულს კი ცის ქვეშ უშვებს ღვთის ანაბარათ. ჩვენ გვგონია, რომ უბნის ბედიღბლით უნდა დაინტერესდეს ჩვენი ქალაქის თვითმართველობა და მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა, რომ ამდენი სული ადამიანი არ ჩაცვივდეს ისეთ უბედურ მდგომარეობაში, რომელსაც უმზადებს მათ ბ-ნი არამიანცი! ამ კითხვის მოგვარებაში ქალაქი პირდაპირ არის დაინტერესებული, რადგან ამდენი ხალხის ბოგანოთ გახდომა, მთელი უბნის აწიოკება პირველ ყოვლისა თვით ქალაქისთვის იქნება საზარალო, რადგან გაამრავლებს მცხოვრებთა უარყოფით ელემენტებს.

ამიტომ, ვიმეორებთ, ქალაქი მოვალეა ჩაერიოს ამ საქმეში უფრო ენერგიულათ, ვიდრე ამას არამიანცის წინაშე დეპეშით შუამდგომლობა წარმოადგენს და ააშოროს მცხოვრებთაც და ქალაქსაც ის არა სასურველი შედეგი, რომელსაც ბ-ნი არამიანცის მადა გვიმზადებს...

ნარი.

სახელმწიფო დუმა.

იმ მრავალ-რიცხვოვან კანონ-პროექტებში, რომლების განხილვა მესამე დუმამ მოასწრო საალდგომო არდადეგებამდის, ბიუჯეტის შემდეგ მეტი ყურადღების ღირსია კანონ-პროექტი კირგიზების მიწის ჩამორთმევის შესახებ. ეს თავისთავათ მოკლე და მარტივი კანონ-პროექტი სავსებით ახასიათებს სამი ივნისის კანონის ავტორებს და მესამე დუმის სულის ჩამდგმელებს. კანონ-პროექტი მხოლოდ ერთი მუხლისაგან შესდგება და აკანონებს, რომ ყველა თავისუფალი მიწები ჩამოერთვას კირგიზებს და გადაეცეს მიწათმოქმედების და მიწათმოწყობის უმთავრეს სამმართველოს.

ეს კანონ-პროექტი პირველი შეხედვით თითქმის წაგავს მიწის ნაციონალიზაციის იმ პროექტს, რომელსაც ერთ დროს ემხრობოდა სოც.-დემოკრატების ერთი ნაწილი. მსგავსება აქ, რასაკვირველია, გარეგნულია, ორივე პროექტი თხოულობს მიწის იძულებით ჩამორთმევას და მის სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემას. არსებითათ ამ ორ პროექტს შორის განსხვავება მეტია მსგავსებაზე, მაგრამ არსებული მსგავსებაც დამახასიათებელია.

ყველა ის მიწები, რომლებსაც ხსენებული კანონ-პროექტი ეხება, დღემდის კირგიზების სრულ განკარგულებაში იყო და მათ საკუთრებას შეადგენდა. მესამე დუმის სულის ჩამდგმელებს კერძო საკუთრების დამცველებათ მოაქვთ თავი და არიან კიდეც. კადეტების ნეტარ-ხსენებული პროექტი მიწის იძულებით ჩამორთმევის შესახებ მათ პირზე დორბლსა გვრიდა, თუმცა იმ პროექტის თანახმათ მიწის პატრონებს მიწის ფასი ეძლეოდათ. აქ კი სრულიად უსასყიდლოთ ერთმევათ საკუთრება და იგივე პირები ამაში არაფერ უსამართლობას არ ხედავენ. ამისი მიზეზი ძნელი გასაგები არ არის, რასაკვირველია. კადეტების კანონ-პროექტი შეეხებოდა მესამე დუმის სულის ჩამდგმელების მიწებს და ისინიც თავის საკუთრებას თავგამოდებით იცავდენ. ხოლო ხსენებული კანონ-პროექტი შეეხება „ინოროდცებს", კირგიზებს, და იმავე მიწების მეოხებით გალატაკებულ გლეხების ნაწილის დროებით დამშვიდება და დაკმაყოფილებაა შესაძლებელი. ეს საკმარისი საბუთი იყო მესამე დუმისთვის, რომ კანონ-პროექტი საჩქაროთ მიეღო. ამ თავისი საქციელით მესამე დუმა წაგავს ბედუინს, რომელსაც სამართლიანათ მიაჩნია, როდესაც ის თავის მტერსა სჭამს, და უსამართლოთ,—როცა მას მტერი სჭამს.

მართალია, კანონპროექტი ამბობს, ჩამოერთვას **თავისუფალი** მიწებიო, მაგრამ თავისუფალ მიწათ იქნება აღიარებული ის, რომელიც უმთავრეს სამმართველოს მოეწონება. ნამდვილათ, თავისუფალი მიწები იქ არ არსებობს. კირგიზები მეჯოგეობით სცხოვრობენ და როგორც ყველა ბოგანოები, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან. მათთვის მიწაც მეტია საჭირო, ვინემ ბინადარი მიწათმოქმედისათვის ამ კანონ-პროექტს ოქტომბრისტებმა მიაყოლეს სურვილი, რომ მალე მოეწყოს კირგიზების მიწათმფლობელობის საქმე. დუმამაც მიიღო ეს სურვილი. უეჭველია, სინდისის გასაწმენდათ.

* * *

არ იყო ინტერესს მოკლებული ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმის კანონ-პროექტის განხილვაც. ამ კანონ-პროექტით ისპობა აწ არსებული სასოფლო სასამართლოები და მათ ადგილს დაიჭერენ მომრიგებელი მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლეები. მათ ირჩევენ საერობო კრებები სამი წლის ვადით. მთავრობის და კომისიის კანონ-პროექტით ასარჩევათ საჭირო იყო ქონებრივი ცენზი იმდენივე, როგორც საერობო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ. მემარცხენეებმა შესწორება შეიტანეს, რომლითაც ისინი ცენზს უარყოფდენ. მათ მხარი დაუჭირეს მემარჯვენეებმა იმ მოსაზრებით, რომ თუ კანონ-პროექტი უცენზო მომრიგებელ მოსამართლეების არჩევას დაუწესებდა, კანონპროექტს სახელმწიფო საბჭო არ მიიღებდა და ამნაირათ, მთელი კანონ-პროექტის საქმე ჩაიშლებოდა. ოქტომბრისტები ემუდარებოდენ კადეტებს, ნუ დაღუპავთ კანონპროექტს, მიეცით ცენზს ხმა, თორემ უცენზო მოსამართლეებს ხომ იცით, არავინ აგვარჩევინებს და ცენზიანიც დაგვეკარგებაო. კადეტები, მოლოდინის წინააღმდეგ, გაჯიუტდენ, და მემარცხენეებისა და მემარჯვენეების შეერთებული ხმებით ცენტრის წინააღმდეგ ცენზი უარყოფილ იქნა. მემარჯვენეები გამარჯვებას დღესასწაულობდენ, მაგრამ კანონ-პროექტის მესამე წაკითხვის დროს ოქტომბრისტები კომპრომისზე წავიდენ. შეიტანეს შესწორება, რომ მომრიგებელ მოსამართლის ასარჩევათ შემოეღოთ მხოლოდ საერობო ცენზის $^1/_2$, ხოლო უმაღლეს განათლება მიღებულთათვის ცენზი უარყოფილ იქნა, მხოლოდ მათ ასარჩევათ საჭიროა საერობო კრების $^3/_4$ ხმის უმეტესობა. კადეტები აქაც გაჯიუტდენ და ამგვარ შესწორებასაც არ დათანხმდენ. მემარჯვენეებმა და მემარცხენეებმა ახლაც ცენზის წინააღმდეგ მისცეს ხმა, მაგრამ ახლა კი ცენტრმა გაიმარჯვა და შემოკლებული ცენზი მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით.

* * *

დუმა შეუდგა იჯარით აღებულ მიწებზე შენობების აგების კანონ-პროექტის განხილვას. მემარცხენე ფრაქციებმა განაცხადეს, რომ მიუხედავათ მისი მრავალგვარი ნაკლულოვანებებისა მაინც მხარს დაუჭერენ მას, მაგრამ ეს კანონპროექტი და აგრეთვე სოც.-დემ. ფრაქციის შეკითხვა ძირითადი კანონების 96 მუხლის დარღვევის შესახებ, ჯერ დამთავრებული არ არის და მათი განხილვა ნააღდგომევს გაგრძელდება.

საზღვარ-გარეთი.

ინგლისი. ინგლისელები მიჩვეული არ არიან თავის შინაურ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მკაცრ ქარტეხილს. მათი ცხოვრება მეტათ ზომიერი და მტკიცე ნაბიჯით მიიზლაზნება. დღეს კი ეს მდორეთ მიმდინარე ცხოვრება შეირყა: ინგლისი პარლამენტალურ კრიზისს განიცდის.

ოთველი იურიდიული ნორმა მხოლოდ მაშინ იქცეოდა ინგლისში კანონათ, როდესაც შემდეგ გზას გაივლიდა: ჯერ ის უნდა მიეღო საზოგადოებათა პალატას, შემდეგ დორდთა პალატას, ბოლოს დაემტკიცებია მეფეს. ეს მესამე ინსტანცია დიდი ხანია უბრალო ფორმათ გადაიქცა. მეფე სულ შუდმ ამტკიცებდა ორივე პალატებისაგან მიღებულ კანონპროექტს. ფაქტიური კანონმდებლები პალატები არიან. დორდთა პალატის დიდ უმრავლესობას შეადგენენ პერები, რომლებიც ამ სპეციო თანამდებობას მემკვიდრეობით იღებენ. არიან მასში ეფისკოპოსებიც და სხვა კონსერვატიული ელემენტები. საზოგადოებათა პალატა კი ხალხის წარმომადგენლებისაგან შესდგება და მისი პარტიული შემადგენლობა ცვალებადია, მაგრამ ინგლისელებს სხვებივით ბევრი პარტიები არ უყვართ. დღევანდელ პარლამენტში სულ ოთხი პარტიაა წარმოდგენილი. უმთავრეს ძალას წარმოადგენენ ლიბერალები და კონსერვატორები. მათ შორის დროგამოშვებით როდები იცვლება: ხან კონსერვატორები არიან საქმის სათავეში, ხან ლიბერალები. როდესაც კონსერვატორები შეადგენენ უმრავლესობას, მაშინ ორივე პალატა თანხმობით მოქმედებს, ხოლო როცა ლიბერალები—მაშინ ხდება ხოლმე კონფლიქტები პალატათა შორის. თუ რამე დემოკრატიულ კანონ-პროექტს მიიღებს საზოგადოებათა პალატა, დორდთა პალატა სარგებლობს თავისი უფლებით და უარყოფს მას. უმეტეს შემთხვევაში ლიბერალები ურიგდებიან ამნაირ მზრუნველობას დორდების მხრით. წელს კი დორდებმა გადაამლაშეს და მთელი ბიუჯეტი უარეყეს. ამაგე ბიუჯეტმა საზოგადოებათა პალატაშიაც დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია კონსერვატორებისაგან, რომლებმაც იგი სოციალისტურ ბიუჯეტათ მონათლეს, მაგრამ საზოგადოებათა პალატაში ლიბერალები უმრავლესობას შეადგენენ და კონსერვატორები ვერას გახდენ. დორდებს თუმცა იურიდიული უფლება ქონდათ უარეყოთ ბიუჯეტი, მაგრამ ამ უფლებით ისინი აქამდე არ სარგებლობდენ. საზოგადოებათა პალატისაგან მიღებულ ბიუჯეტს ისინიც იღებდენ ჩვეულებრივ და ეს ჩვეულება თითქმის კანონათ იქცა: მთელი ინგლისის კონსტიტუციაც ხომ ჩვეულებებზეა დამყარებული. დორდების ამნაირმა საქციელმა საგონებელში ჩააგდო ლიბერალები. მათ გადასწყვიტეს მოეხდინათ დორდთა პალატის რეფორმა, მაგრამ ამის შესახებ საჭირო იყო შეკითხებოდენ თითონ ხალხს. ამის გამო საზოგადოებათა პალატა დაითხოვეს და მოხდა ახალი არჩევნები. ლიბერალების საარჩევნო პლატფორმა იყო: დორდთა პალატის რეფორმა და „დემოკრატიული“ ბიუჯეტი. კონსერვატორების პლატფორმა: სადამოუნო ბაჟები შემოსატან საქონელზე და ამითი ხაზინის შემოსავლის გაძლიერება. 1900 წლის არჩევნებზე, როცა ინგლისი ბურებს ეომებოდა და ლიბერალები ზავის მოამხრე იყვენ, უკანასკნელები დამარცხდენ, გაიმარჯვეს კონსერვატორებმა. სამაგიეროთ, 1906 წელმა ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა ლიბერალებს. წრეულს კი ლიბერალებმა დაკარგეს 105 ადგილი, კონსერვატორებმა კი შეიძინეს 116 ადგილი, თუმცა გამარჯვება მაინც მათ არ დარჩათ. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, რამდენათ ცვალებადია პოლიტიკური პარტიების ბედი, ისეთ სამეფოშიც კი, როგორიც არის დღევანდელი ინგლისი:

	1900 წ.	1906 წ.	1910 წ.
ლიბერალები . .	186	379	274
კონსერვატორები . .	402	157	273
ნაციონალისტები . .	82	83	83
მუშათა პარტია (დამოკიდ. სოც.)	—	51	40

დორდების მომხრე კონსერვატორებმა მიიღეს 3.095.616 ხმა, ხოლო მათმა მოწინააღმდეგეებმა 3.503.487 ხმა, 407.817 ხმით მეტი, რაც შეადგენს მთელი ხმების 6,2%. ამნაირათ, ლიბერალებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ვაი, ამ გამარჯვებას! თუ მათ ნაციონალისტები მხარს არ დაუჭერდენ, ისინი უმცირესობაში დარჩებოდენ. ნაციონალისტებმა მხარი დაუჭირეს ლიბერალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მოსაზრებით, რომ სანამ დორდთა ხალატა დღევანდელ მდგომარეობაში იქნება, ისინი ჭიმრულს ვერ ედირსებიან. ამნაირათ, დღევანდელ მთავრობას უმრავლესობა მხარს უჭერს და ისიც შეუდგა დორდთა ხალატის რეფორმას. საზოგადოებათა ხალატამ უკვე მიიღო რეზოლიუციები, რომლის ძალითაც დორდთა ხალატს უფლება არა აქვს ფინანსიური ბიდჟეტი (ბიუჯეტი) აარეოს, სხვა კანონ-პროექტების აარეოფის უფლება განისაზღვრება: თუ საზოგადოებათა ხალატა სამჯერ სამი სესიის დროს მიიღებს ერთსა და იმავე კანონ-პროექტს, დორდთა ხალატა კი მას სამჯერვე აარეოფს, ეს კანონპროექტი დორდთა სურვილის წინააღმდეგ, კანონათ იქცევა, მაგრამ მის პირველ წაკითხვიდან უკანასკნელ ვოტუმამდე უნდა გავიდეს არა ნაკლებ ორი წლისა.

ეს რეზოლიუციები უნდა მიიღოს დორდთა ხალატამაც, რაც ძნელი მოსალოდნელია. თუ მან აარეო ისინი, მაშინ მეოთემ უნდა დანიშნოს დორდთა ხალატაში იმდენი ახალი წევრი, რომ ამ რეზოლიუციების მომხრეები შეადგენდენ უმრავლესობას.

რას წარმოადგენს ის ბიუჯეტი, რომელმაც ასეთი ალიაქოთი გამოიწვია, და რომელსაც კონსერვატორები სოციალისტურს ეძახიან? 1909—10 წ. ახალი სამხედრო გემების ასაშენებლათ ინგლისს დასჭირდა 160 მილ. მან., მოხუცების პენსიისათვის—80 მილ. ძველი წყაროები შემოსავალს იძლეოდა 1.483 მილ., ხოლო ახალ ხარჯებიანათ გასავალი უდრიდა 1.641 მილ. ამნაირათ, ინგლისს მოელოდა 158 მილ. დეფიციტი. ამ დეფიციტის დასაფარვათ დასჭირდათ ახალი გადასახადები. მთავრობამ შემდეგი პროექტი წარადგინა: არა პირდაპირი გადასახადები—აქციზის მომატება სპირტზე 16 მილ. მან., თამბაქოზე 19 მილ., მაგარი სასმელებით სავაჭრო პატენტები 26 მილ., გადასახადი ავტომობილებზე და ავტომობილის ბენზინზე—6 მილ.—სულ 67 მილ. პირდაპირი გადასახადი: მემკვიდრეობაზე გადასახადის მომატება—$28^1/_2$ მილ. მან, შემოსავალზე გადასახადის მომატება 35 მილ., ახალი გადასახადი მიწაზე—5 მილ. სულ $68^1/_2$ მილ. მან.—სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ეს ბიუჯეტი დიდი დემოკრატიული ნაბიჯია, მაგ., გერმანიამ 250 მილ. დეფიციტის დასაფარავათ მიმართა არა პირდაპირ გადასახადებს ჩაიზე, შაქარზე, სპიჩკაზე, თამბაქოზე... ეს გადასახადი, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით მშრომელ მასსას აწევს, მთელი დეფიციტის $^4/_5$ ფარავს.—თავის თავად კი ინგლისის ეხლანდელი ბიუჯეტი ჩვეულებრივი ფინანსიური ზომაა და სოციალიზმიდან ისე შორს არის, როგორც ცა დედამიწიდან. უმთავრესათ ხარჯები სჭირდებათ ახალი სამხედრო გემების ასაგებათ. რა აქვს საერთო ამ საქმეებს სოციალიზმთან ან დემოკრატიზმთან? დეფიციტის ნახევარი არა პირდაპირი გადასახადებით იფარება, რაც მთელი თავისი სიმძიმით მშრომელ მასსას აწევს კისერზე. თვით ავტომობილების გადასახადიც მუშების წინააღმდეგაა მიმართული, რადგანაც დღეს ინგლისში მუშები ავტომობილებით ფართოთ სარგებლობენ.—მიწათმფლობელები მეტათ გაუმაძღარი ხალხი აღმოჩნდენ. მათი რენტა უდრის 100 მილ. მან. და ამ ასი მილიონიდან მთავრობამ მოინდომა 5 მილ. წაღება. იმის მაგივრათ, რომ ეთქვათ, მუშებს ახლევინებენ $68^1/_2$ მილ., გადავიხადოთ ჩვენც ხუთი მილიონიო, ასტეხეს განგაში: ასკვიტის სამინისტრო გასოციალისტდაო. ვისაც არ გინდა სოციალიზმის დამყარება, შემოსავლის გასადიდებლად გარედან შემოტანილ საქონელს ბაჟები დავადვათო. ერთი მხრით მათმა ხრიკებმა გასჭრა. ლიბერალებმა ბურჟუაზიის ერთი ნაწილი დაკარგეს. უკანასკნელები ფიქრობდენ: თავისუფალი ვაჭრობის შენარჩუნება მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ ჩვენ გადასახადები უნდა მოგვიმატონო, რათ გვინდა ამნაირი თავისუფალი ვაჭრობაო. არჩევნებზე მათ კონსერვატორებს მისცეს ხმა. სამაგიეროთ, ლიბერალებმა მიიმხრეს თავისკენ მუშათა კლასის შეუგნებელი ნაწილი, რომელიც მოსტეუვდა „დემოკრატიული“ ბიუჯეტის მეოხებით. საბოლოოთ ამ ალიაქოთში ნაზარალევი ისევ მუშები დარჩენ.

საფრანგეთი. საფრანგეთის დეპუტატთა ხალატამ შეასრულა თავისი ვადა და ბრიანის სამინისტრო შეუდგა ახალ არჩევნებს. უკვე გამორკვეულია არჩევნების შედეგი 356 ოლქში. 231 ოლქში დანიშნულია ხელახალი არჩევნები. საზოგადოთ, რამდენათაც არჩევნები გამორკვეულია, დეპუტატთა ხალატაში ძალთა განწყობილება თითქმის ისეთივე რჩება, როგორც აქამდე იყო. არჩეულები არიან: კონსერვატორები, ნაციონალისტები 65, პროგრესისტები 43, რესპუბლიკელები 57, რადიკალები და რადიკალ-სოციალისტები 154, დამოუკიდებელი სოციალისტები 19 და შეერთებული სოციალისტები 28. ძველი მინისტრებიდან ყველანი არიან არჩეული, გარდა მილიერანისა, რომელიც ხელახლა იერის კენჭს. ამავე მდგომარეობაშია სოციალისტი ჟორესიც, ხოლო ყიულ გედი (ორტოდოქსი) არჩეულია.

რუსეთის ცხოვრება.

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის სიეზდი. 21 აპრილს პეტერბურგში გაიხსნა პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის სიეზდი, რომელიც მოიწვია „მთელი რუსეთის ქალთა დაცვის საზოგადოებამ“-მ. სიეზდმა მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. გაზეთებში გაცხარებული მსჯელობაა პროსტიტუციისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველ საშვალებათა შესახებ და სიეზდის მუშაობის მთავარი ძარღვიც ეს არის.

რასაკვირველია, აქედანვე იმის თქმა, თუ როგორ შეხედავს ამ კითხვას სიეზდი, მეტათ ძნელია. ვერ ვიტყვით, რას აღიარებს ის ამ საშინელი სენის მიზეზათ; ვერ ვიტყვით, იცნობს თუ არა ის პროსტიტუციის მთავარ წყაროთ არსებულ სოციალურ უსწორ-მასწორობას, გაუსვამს თუ არა ხაზს იმ გარემოებას, რომ პროსტიტუციის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა არსებული უკეთმართი სოციალური ურთიერთობა, ხოლო მისი შემცირება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება საერთოთ დღევანდელ პოლიტიკურ რეაქციას და კერძოთ დედაკაცთა უუფლებობას!.. დიახ, არ ვიცით, იტყვის ამას სიეზდი, როგორც მთელი, თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, რომ სიეზდი მეტათ სასარგებლოა. და სასარგებლოა იმდენათ არა თავისი პრაქტიკული შედეგებით, რამდენათაც იმ მხრით, რომ დემოკრატიის წარმომადგენლებს იქ ბევრი მწარე სინამდვილის თქმა შეუძლიათ! ეს სინამდვილე კი იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხილება არსებული სოციალ-პოლიტიკური უკუღმართობისა...

—

როგორც ვთქვით, სიეზდის შესახებ ცხარე მსჯელობაა რუსეთის პრესაში. ამიტომ, მეტი არ იქნება, მოვიყვანოთ სიეზდის მოწვევის ერთ-ერთ ინიციატორთაგანის და პროსტიტუციის მიზეზისა და მისი გავრცელების გამომრკვეველ სექციის წევრის—პროფესორ დ. ა. დრილის აზრი.

„მიზეზები—რომლებიც იწვევენ, ასაზრდოებენ და ხელს უწყობენ პროსტიტუციის განვითარებას—ამბობს ბ. ბრილი—ღრმათ იმარხება არსებულ საზოგადოებრივ უკუღმართობაში. პროსტიტუცია, როგორც ალკოგოლიზმი, ნაყოფია არა-ნორმალურ სოციალ-ეკონომიურ პირობებისა.

თანამედროვე ცხოვრებამ შექმნა შრომის მძიმე პირობები, მაგრამ ეს პირობები დედაკაცისთვის უფრო მძიმეა, ვინემ მამაკაცისთვის. ქალს შრომაში ნაკლებ სასყიდელს აძლევენ, მას ნაკლებათ ერიდებიან, სამაგიეროთ, მეტათ ყვლეფავენ. შეიხედეთ დღესასწაულის წინა დღეებში რომელიმე სახელოსნოში: იქ საათებს აღარ უყურებენ! სახელოსნოს დახშული, მოწამლული ჰაერი, ცუდი კვება, უფერული, გაუხარელი ცხოვრება,—აი, მუშა ქალის ხვედრი.

და რაღა გასაკვირალია, რომ უფრო ადვილი და მხიარული ცხოვრების მოჩვენება მას იტაცებს და ის ექანება უფსკრულისაკენ.

ამასთან ერთათ—ის უმნიშვნელო ხელფასი, რომელსაც ღებულობენ ქალები ზოგიერთ სამრეწველო დაწესებულებებში, პირდაპირ ერეკებიან მას, რომ სხვა გზით იშოვნოს საარსებო საშვალებანი. ეს სხვა გზა კი პროსტიტუციაა“.

როგორ ვუშველოთ საქმეს? ბ. დრილის აზრით ყოვლათ შეუძლებელია ეგრეთ წოდებული რეგლამენტაციის არსებობა, რომელიც მრავალ მხრივ არის მავნებელი. ამიტომ ის აუცილებლათ უნდა მოისპოს.

„მაგრამ—კითხულობს ბ. დრილი—რეგლამენტის მოსპობასთან ერთათ მოისპობა, ან თუნდ, შემცირდება თვით პროსტიტუცია? რასაკვირველია, არა,—მეტათ ღრმა და მაგარია პროსტიტუციის მიზეზი და მისი ასეთი ზომებით ამოგლეჯა შეუძლებელია.

ბ. დრილი უარყოფს ქველმოქმედების გავლენას ამ მხრით და მისი აზრით ამ საშიშარ ბოროტებასთან საბრძოლველ ზომებში „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მშრომელი მასსის ცხოვრების სოციალური და ეკონომიური პირობების გაუმჯობესება“...

—

მაგრამ ბ. დრილის აზრს არ იზიარებს აღნიშნული სიეზდის ყველა ხელმძღვანელი. მაგალითათ, ბ. ბოროვიტინოვის აზრით, რომელიც საკანონმდებლო მოსაზრებების სექცია ხელმძღვანელობს, პროსტიტუციის პირველ და „მთავარ ფაქტორათ“ ითვლება შეცდენა, გარყვნილება'ში ჩათრევა. მეორე მიზეზათ კი ისიც ეკონომიურ პირობებს აღიარებს.

საუცხოვო კანონ-პროექტებს შეიმუშავებს ასეთი თვალსაზრისით აღჭურვილი კაცი, არა, მკითხველო?..

—

13 აპრილს სიეზდის საორგანიზაციო კომიტეტში შევიდა შემდეგი განცხადებანი: 1) პეტერბურგელ პროსტიტუტკების ერთი ჯგუფისა, რომლებიც შუამდგომლობენ, აღიძრას კითხვა საექიმო-სანიტარულ ზედამხედველობის შემსუბუქებისა და მათი მამაკაცებზე გავრცელების შესახებ და 2) მოსკოვის მკერვალ დედაკაცთა და მამაკაცთა, სტამბის მუშებისა და ჩაის ამწონავ ქალთა პროფესიონალური კავშირებისგან, რომლებიც სურვილს აცხადებენ სიეზდში მონაწილეობის მიღებაზე. საორგანიზაციო კომიტეტმა დაადგინა დაკმაყოფილოს მოსკოვის კავშირების თხოვნა.

* * *

ლიტერატორთა სიეზდი. 22 აპრილს გაიხსნა ლიტერატორთა სიეზდი. არა ნაკლები მსჯელობა და აზრთა შეხლა-შემოხლა გამოიწვია ამ სიეზდმაც, ან უკეთ, მასში მონაწილეობის მიღებამ.

საქმე იმაშია, რომ მთავრობამ, როცა სიეზდის მოწვევის ნება დართო, დღის წესრიგიდან ამოშალა ერთი მთავარი კითხვა: პრესის უფლებრივი მდგომარეობა. ამის გამო რუსეთის პრესის ერთი ნაწილი უსარგებლოთ სთვლიდა სიეზდის მოწვევას. მეორე ნაწილი კი, მიუხედავათ ამისა, აუცილებელ საჭიროთ სთვლის მასში მხურვალე მონაწილეობის მიღებას. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის მცირე რიცხოვანი მემარცხენე პრესაც.

პეტერბურგის ლიტერატურული საზოგადოება მომხრეა სიეზდში მონაწილეობის მიღებისა და კიდეც გამოიტანა ჟურნალ „სოვრემ. მირ-“ის მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„ღებულობს რა მხედველობაში, რომ პროგრამის შეკვეცას არ შეუძლია ხელი შეუშალოს პრესის მიუცილებელ უფლებრივ და მატერიალურ საჭიროებათა გამოთქმას, ლიტერატურული საზოგადოება მომხრეა სიეზდში მონაწილეობის მიღებისა“.

სამაგიეროთ, მოსკოვის პრესისა და ლიტერატურის საზოგადოება უარყოფს სიეზდში მონაწილეობას.

ქართული ხელოვნება და სინამდვილე.

I

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართულ პრესაში ლაპარაკი ატყდა ჩვენი ქართული ლიტერატურის დაკნინებაზე და გაღარიბებაზე.

ვინ რა დაასახელა და ვინ რა იმ სამწუხარო მოვლენის მიზეზათ, რომ ჩვენი მხატვრული ლიტერატურა ძლივს სულს ითქვამს და ამდენი ხანია ვერ წარმოუშვია ის წინამორბედი, რომელიც ყოველ მესიას წინ უძღვის; ვერ შეუქნია ისეთი ორიგინალური ნიჭის მწერალი, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს თანამედროვე ცხოვრებას და ნიადაგი მოუმზადოს იმ დიად მომავალს, რომელიც უეჭველათ უნდა მოვიდეს, რომელიც ჩვენ თვალწინ იბადება...

ბატონ-ყმობის მძიმე უღლიდან ხალხის განთავისუფლებას თავისი ახალი იდეალების გამომხატველები ჰყავდენ. ესენი იყვნენ დ. ჭონქაძე, ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები. ესენი მართლაც დიდი წინამორბედნი იყვენ იმ დიდი მესიისა, რომელსაც გლეხთა განთავისუფლება ერქვა. ამ მწერალთ დააკისრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიამ, ბებიაობა გაეწიათ ამ მესიის დაბადების დროს, ხელი შეეწყოთ მისი აღზრდისათვის; და მათ მართლაც რომ ღირსეულათ შეასრულეს ეს დიადი ისტორიული საქმე.

ამ მწერლებმა თავისი ძლიერი ნიჭით ხელი შეუწყვეს მონობიდან ხალხის განთავისუფლების საქმეს და ახალი იდეალების ცხოვრებაში გატარებას. ვიმეორებთ: ეს ერთობ დიდი და საპატიო როლი აკისრა ისტორიამ დასახელებულ მწერლებს და მათი მნიშვნელობაც ამით გათავდა.

ეს მწერლები დღეს ისტორიას ეკუთვნიან და თუ იმათ ჯერ კიდევ შერჩენიათ რაიმე თანამედროვე მნიშვნელობა, ეს მხოლოდ ჩვენი ცხოვრების დაქვეითებას ნიშნავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვიღწევია თავი იმ ხანის გავლენიდან, რომელსაც ბატონ-ყმობის მოსპობის ეპოქა ქვია და რომლის ნამდვილი გამომხატველნიც ეს მწერლები იყვენ.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ახალი საქართველო იბადება; ჩვენ გვწამს, რომ მის დაბადებას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა. ჩვენ ღრმათა გვწამს, რომ მთელი რუსეთის ერებთან ერთათ ქართველ ერსაც უნდა მოევლინოს თავისი მხსნელი მესია თავისუფლებისა და მოქალაქობრივი ცხოვრების სახით. ეუვი არ არის, რომ ეს ასე უნდა მოხდეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ ამ მესიის ლიტერატურულ წინამორბედს ვერა ვხედავთ...

როცა ოჯახი ბავშვის დაბადებას მოელის, ყოველი მისი წევრი სამზადისშია: დედა საგებებსა და საცვლებს ამზადებს, მამა კიდევ აკვანზე ფიქრობს.

ცხოვრებაშიაც ასე ხდება. როცა ახალი საზოგადოებრივი ფორმა იბადება, როცა ძველსა და ახალს შორის საკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს, როცა ყველასთვის ცხადი ხდება, რომ ძველი უნდა მოკვდეს და ახალი დაიბადოს, ამ დროს ცხოვრების ის მესვეური, რომელსაც ლიტერატურა ეწოდება, უნდა ახალი ფორმების შემუშავებას შეუდგეს.

ეს არის ლიტერატურის ნამდვილი დანიშნულება.

სწორეთ ასეთ პროცესსა ვხედავთ დღეს რუსეთის ლიტერატურაში. სამწუხაროთ, ამას ვერა ვხედავთ ქართულ ლიტერატურაში.

რა არის ამისი მიზეზი? რათ ეწვია ქართულ ლიტერატურას ასეთი შავი ბედი?

რამ შეაჩერა იმისი მაჯის ცემა?

ბევრმა ჩვენმა მწერლებმა გამოსთქვეს ამაზე თავისი აზრი და ბევრი სხვა და სხვა მიზეზებიც დაასახელეს. ჩვენ კი ამ დროულათ მხოლოდ იმ მიზეზებს გვინდა ანგარიში გაუწიოთ, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება არავის მიუქცევია.

შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ ქართველი ერის სულიერი ძალა ისე გამოფიტდა, რომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთი თვალსაჩინო მწერლის წარმოშობაც კი ვერ შესძლოვო. როგორც ზემოთაც ვსთქვით, ილია და აკაკი გლეხთა განთავისუფლების ეპოქამ წარმოშობა. კიდევ რომ ასეთივე მწერლები დაგვბადებოდენ, საჭირო იყო ასეთივე დიდი მიზეზი, ასეთივე ნიადაგი; საჭირო იყო ჩვენს ერს თავის ეროვნულ მსვლელობის დროს განეცადა ისეთივე დიდი ისტორიული ცვლილება, განეცადა ისეთივე ისტორიული ქარტეხილი, როგორიც იყო გლეხთა განთავისუფლების ეპოქა საზოგადოთ რუსეთისა და კერძოთ ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ყოველ დროს თავისი გამომხატველი ჰყავს. თუ პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზია მედგარი და შეუპოვარი იყო, როგორც თვით ბატონ-ყმობის მძიმე უღელის დამსხვრევას მოწყურებული რუსეთის ხალხი, სამაგიეროთ ალექსანდრე მესამის კვნესა-ვაებისა და უიმედობის ხანამ თაკის გამომხატველათ ნადსონი და ანტონ ჩეხოვი აირჩია.

ხელოვნება სარკეა ცხოვრების სინამდვილისა! მხატვარი ხატავს თვით ცხოვრების სურათს. სურათი რომ კარგი და ძლიერი გამოვიდეს, ამისთვის საჭიროა, რომ თვით ამ მხატვრობის, სურათის საგანი იყოს კარგი და ძლიერი.

რას წარმოადგენდა რუსეთი ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში? ის ძლივსა ჰკუთავდა ბიუროკრატიის ულმობელ ბრჭყალებში. ამ დროინდელი რუსეთი ნამდვილი ხავს მოკიდებული ჭაობი იყო, რომელიც ალპობდა და აღრჩობდა სიცოცხლის ყოველივე ნიშან-წყალს. ეს კვნესა-გმინვისა, ოხვრა-ვაებისა და ტირილის ხანა იყო. და სწორეთ ასეთი იყო ამდროინდელი რუსეთის ხელოვნებაც.

ხელოვნება ისეთი მცენარეა, რომელიც წმინდა ჰაერით სუნთქავს, ის ჭაობებსა და მონობის ჯაჭვებში არ ხარობს. ამიტომაც არის, რომ ამ დროინდელ რუსეთსაც არ წარმოუშვია დიდი მწერალი...

და სწორეთ აქ, თვით ჩვენი ცხოვრების არარაობაში უნდა ვეძებოთ იმისი მიზეზი, რომ ქართველმა ერმა ამ დიდი ხნის განმავლობაში ერთი დიდი მწერალი ვერ წარმოშობა. თუ ჩვენი ცხოვრება პატარა ღელესა გავდა, რა თქმა უნდა, ის მხოლოდ პატარა მცურავებს წარმოშობდა და არა დიდ მეზღვაურებს. დიდი მეომრების წარმოშობა მხოლოდ დიდ ომიანობის ხანას შეუძლია.

ამიტომაც, საკვირველი არ არის, თუ ჩვენ წასრული საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მწერალი არ დაგვბადებია. ამ დროს განმავლობაში არც რუსეთის ლიტერატურას მოვლენია დიდი მწერლები. თვით ლევ ტოლსტოი, რომელიც დღეს რუსეთის სიამაყეთ ითვლება, ნაყოფია წარსულ ეპოქისა.

ჩვენი აზრით, ეს არის ერთი დიდი მიზეზი ჩვენი მხატვრული ლიტერატურის დაკნინებისა.

ჩვენი სიცოცხლის მაჯის ცემა დროებით შეჩერდა; ცხოვრება თითქოს გაიყინა. დაკნინდა საგანი ხელოვნებისა და ხელოვნებაც მასთან ერთათ დაკნინდა.

მაგრამ ეს მიზეზი საზოგადოა.

ქართულ ლიტერატურას თავისი საკუთარი მიზეზებიცა აქვს და ერთი ამ მიზეზთაგანია ლიტერატურულ კრიტიკის უქონლობა.

მართალია, ჩვენ ერს ამ უკანასკნელ ნახევარი საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის განმავლობაში დიდი მწერლები არ წარმოუშვია, მაგრამ ნიჭები კი გვყვანდენ; ისინი დღესაც არიან, მაგრამ რა უნდა ქნან, როცა მათ განათლება და გაწვრთნა აკლიათ. უამისოთ კი, რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონიც იყოს მწერალი, ის უხორთუმო სპილოსა და უკლანჭო ლომსა ჰგავს...

ჩვენი მწერლები მოკლებული არიან იმ ლიტერატურულ სარკეს, ურომლისოდაც მწერალი თავის თავს ვერ დაინახავს და, მაშასადამე, ვერც თავის ღირსებასა და ნაკლულევანებას გაითვალისწინებს.

ქართულ ლიტერატურაში კრიტიკა იმ თავითვე უარყოფილი და მეტ ბარგათ მიჩნეული იყო.

ჩვენი მწერლები მხოლოდ რუსეთის კრიტიკოსების: ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ჩერნიშევსკის, მიხაილოვსკისა და სხვათა მეოხებით იკვლევდენ გზას ჩვენს ლიტერატურაში.

მაგრამ ერთი ერის ლიტერატურას არ შეუძლია მუდამ მეორე ერის ყურ-მოჭრილი მონა იყოს და მისი ნასუფრალით თავი ირჩინოს. თუ ლიტერატურას უნდა, რომ ის ამა თუ იმ ერის ცხოვრების ნამდვილი გამომხატველი იყოს, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ სინამდვილეს, რომელმაც ის წარმოშობა, ის უნდა ტრიალებდეს იმ ნიადაგზე, რომელზედაც ის აღიზარდა და განვითარდა.

ამიტომაც, ილიასა და აკაკის პოეზია იმდენათა ჰგავს პუშკინისა და ნეკრასოვის პოეზიას, რამდენადაც თვით ქართველი ხალხის ცხოვრება ჰგავს რუსეთის ხალხის ცხოვრებას. განსხვავება კი ამ დასახელებულ პოეტებში, მათ ტემპერამენტსა და ნაწარმოებებშიაა ისეთია, როგორც თვით რუსეთისა და ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ტემპერამენტში.

ჩვენ სრულ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია ის, რომ პოეზია, მხატვრული მწერლობა და ხელოვნება არ შეადგენს ამა თუ იმ ერის კუთვნილებას; ყოველი ეს მთელ კაცობრიობას ეკუთვნის, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთი რომელიმე ხალხის მწერლებმა, მხატვრებმა თუ მემუსიკეებმა მხოლოდ მეორე, თუნდა უფრო ბედნიერი ერების გენიოსების ნაწარმოები ჰღეჭონ და თუთიყუშივით იმეორონ. ყოველ ხალხს თავისი კულტურული ფორმები, თავისებური ხასიათი, თავისი საკუთარი ბუნება აქვს. თუ მწერალმა, მხატვარმა თუ მემუსიკემ თავისი ნიჭი ამისდა მიხედვით განავითარა, ისინი დაუფასებელ ღვაწლს დასდებენ არა თუ იმ ერს, რომელსაც თვით ეკუთვნიან, დაუფასებელ ღვაწლს დასდებენ თვით კაცობრიობას, რადგანაც ისინი ამით ხელს შეუწყობენ სხვა და სხვა ერთა ერთმანეთის გაცნობასა და სოლიდარობას.

ამ მხრით შესანიშნავია ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწერები. ამ მწერლის საუკეთესო თხზულებებს თვალსაჩინოთ აზის გოგოლის, გონჩაროვის, ნეკრასოვისა და რუსეთის სხვა მწერლების გავლენის დაღი. ავიღოთ, თუ გინდათ, ილია ჭავჭავაძის უკვდავი „კაცია ადამიანი?!“ წაიკითხეთ გოგოლის „Старосвѣтскіе помѣщики“ და თქვენ ჩვენთან ერთათ იტყვით, რომ „კაცია ადამიანი“-ს ავტორზე დიდი, ერთობ დიდი გავლენა ჰქონია გოგოლის გენიას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჭავჭავაძის დიდ ნიჭს, რა კი გოგოლის ფორმა შეუსწავლია, თავისი დიდი დაკვირვების ნაყოფი ზედ დაურთავს და თავისთავათ ღრმა, ორიგინალური, ნამდვილი ქართული გულის სიღრმიდან ამონახეთქი ნაწარმოები შეუქმნია. ეს თხზულება, მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი ნათესავური კავშირი აქვს გოგოლისა და გონჩაროვის უკვდავ თხზულებებთან, ნამდვილი სარკეა ქართველი ერის ცხოვრებისა, ეს თხზულება მთელი ისტორიაა საქართველოს იმ გარდამავალი ხანისა, როცა საქართველოს უმაღლესმა წოდებამ თავისი ბედი რუსეთს ჩაბარა, თავისი თოფიარაღი თავისი სახლის დასამშვენებელ იარაღათ გადააქცია და თვითონ დაუსრულებელ ქეიფსა და ბუზების თვლას ანდომებდა თავის სიცოცხლეს.

როცა ჭავჭავაძისა და გოგოლის დასახელებულ თხზულებებს ერთმანეთს ადარებთ, მათ შორის დიდ ნათესავურ კავშირსა ხედავთ; მაგრამ ვინ იტყვის, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულება იმდენათვე ორიგინალური და, თუ გინდათ, ნაციონალური ნაწარმოები არ არის, როგორც გოგოლის უკვდავი თხზულებაო?!

მხოლოდ ამით უნდა ისაზღვრებოდეს ამა თუ იმ მწერლის, ამა თუ იმ ერის ლიტერატურული გავლენა მეორე ერის მწერალსა და ლიტერატურაზე. როცა ეს გავლენა ამ საზღვარს გასცილდება, მაშინ ლიტერატურას ორიგინალური არა ჰქვია; ეს მხოლოდ მონური მიბაძვაა, ეს მხოლოდ სხვისი გამონაცვალი ტანისამოსის ტარებაა და მეტი არაფერი.

თუ ამ აზრის სინამდვილეს დავიჯერებთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ ქართული მხატვრული მწერლობისთვის მარტო რუსეთის კრიტიკის შესწავლა არა კმარა, სწორეთ ისე, როგორც საკმაო არ არის იმ მხატვარმა, რომელსაც თავის სპეციალურ თემათ კავკასიის ბუმბერაზი მთების დახატვა აუღია, შეისწავლოს, თუ გინდათ, გამოჩენილი მარონისტის აივაზოვის სურათები, ან ისეთი მხატვრის ნაწარმოები, რომელსაც თავის სპეციალურ თემათ რუსეთის ზამთრის, ან რუსეთის ტრიალი უდაბნოების ხატვა აუღია.

ესეც არ იყოს, ზეპოთ დასახელებული რუსეთის დიდი კრიტიკოსები ყოველი დროისთვის როდი არიან გამოსადეგი. ისინი, როგორც ყველა სხვა დარგის მწერლები, თავისი დროის იდეალების გამომხატველნი იყვენ; ისინი ხელმძღვანელობას უწევდენ თავისი დროის აზრთა მიმდინარეობას...

დრონი იცვალენ. ახალმა დრომ ახალი ხელმძღვანელი მოითხოვა. სიმართლე გვაიძულებს აღვნიშნოთ, რომ დღეს არც რუსეთის ლიტერატურასა ყავს ისეთი დიდი მასწავლებლები და ხელმძღვანელნი, როგორიც იყვენ ბელინსკი და დობროლიუბოვი, მაგრამ რუსეთის ლიტერატურას ამით ძლიერ ცოტა რამ აკლდება, რადგანაც ის თავიდან კარგათ იყო დაყენებული და მან თვითონაც ადვილათ აუღო ალღო თანამედროვე ცხოვრებას.

რუსეთის მხატვრული ლიტერატურა დღეს დიდ შემოქმედებით მუშაობაშია. ის არა თუ ფეხ და ფეხ მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევს ცხოვრებას, პირიქით, კიდეც ცდილობს ამ ცხოვრების მეთაური და ხელმძღვანელი გახდეს. რუსეთის დღევანდელი ლიტერატურა თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა ანალიზისა და გამოკვლევის საშუალებით ენერგიულათ მიისწრაფვის ხვალინდელი დღისკენ; ის სახვალიო ახალი ფორმების ძებნაშია.

სამწუხაროთ, ქართული ლიტერატურა კი ერთ წერტილზე შეჩერებულა; ის კუს ნაბიჯითაც ვერ ახერხებს წინსვლას. მას ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი იმ ძველი კილოსა და შინაარსისათვის, რასაც წარსულში დიდი გასავალი ქონდა, მაგრამ დღეს კი ანახრონიზმათ უნდა ჩაითვალოს.

სამშობლოს სიყვარული, მის დაცემაზე სხვა და სხვა ჰანგებზე მოთქმა-გოდება უწინ შესაწყნარებელიც იყო და მოსაწონიც, რადგანაც ბატონ-ყმობის მძიმე უღელქვეშ ქედ-მოხრილი ქართველი ხალხი სამარისებურ ძილს მისცემოდა და ზედ სამარის მძიმე ლოდსავით აწვა ის საშინელი ძალა, რომელიც მარხავდა და აქარწყლებდა ყოველ იმედსა და გამოღვიძების სურვილს... იმ დროს გოდება იმაზე, რომ საქართველო იღუპება, რომ საქართველო ძველათ გმირი იყო და დღესაც გმირობა უნდა გამოიჩინოს და ცხოვრების უნარი მოიკრიბოსო, უმნიშვნელოთ არ ჩაითვლებოდა.

მაგრამ ჩვენს დროში, როცა ქართველი ხალხი საკაცობრიო ფერხულში ჩაება, როცა მან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყოველ გარეშე ძალას, რაც მას წინ ეღობება, რაც ხელს უშლის მის მოქალაქობრივ ცხოვრებას და საკაცობრიო იდეალების განხორციელებას,—ასეთი ჰანგები დრო გადასულათ უნდა ჩაითვალოს.

კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვულ ამირანთან საქართველოს შედარება მაშინ შეიძლებოდა, როცა ეს ამირანი მართლაც მიჯაჭვული იყო, როცა მას ყვავ-ყორანი ეხვეოდენ და გულს უფლეთავდენ; მაგრამ როცა ამ ჩვენმა ამირანმა ეს ჯაჭვები უკვე გაწყვიტა და თავისი მედგარი და შეუპოვარი ხმა „ილია მურომეცისა“ და და „ალიოშა პაპოვიჩის“ მქუხარე ხმას შეუერთა; როცა ამ გოლიათებმა ერთათ მიიტანეს მედგარი იერიში საზოგადო მტერზე და ეჭვს გარეშეა, კიდეც აიღებენ მტრის ბანაკს,—მაშინ ასეთი გოდება ქრისტეს იმ მოწაფეთა გოდებასა გავს, რომელნიც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მოძღვრის ცარიელ საფლავთან იდგენ და თავ-პირს იხოკდენ. ხოლო თვით მოძღვარი კი მკვდრეთით აღმდგარიყო და თავისი ღვთაებრივი მისიის შესრულებას შესდგომოდა.

ყარიბი.

მძულვარეგა.

—

მე რისხვა ვიყავ!
რისხვა წყევის და შეჩვენების!
ბრწყინვალე ძლევით
ზე აღვმართე იმედის მთები!
ჩემსა წინაშე, თვით-მპყრობელნი
ურიცხვ მონების,
ქედსა იხრიდენ!
შიშით თრთოდენ ყველა ღმერთები!

—

არწივის ფრთებით
აღმა ვქროდი გრიგალ-ქარივით,
ზეცათ ვიტანდი
გმინვას, კვნესას დედამიწისას,
იქ მეხათ ვქმნიდი
სულთა ხდომის დამკრთალ ზარივით,
გუმბათს მოვსხლეტდი,
ძირს ვსტყორცნიდი სიმაგრეს მტრისას.

—

...მხოლოდ შენ მძლიე!
წმინდა სულათ გამომეცხადე,
და ჩემი ბედი, გულის ზრახვა,
მყის შენ მოგანდე.
შენ დამიბნელე ნათელი დღე,
მოგანთიადე!
და გამიმეფე საზარელი
გარს სიწყვდიადე!

—

მწარეთ მოვსტყუვდი!
იგი არ ხარ, რაც რომ მეგონე,
მაგრამ, გვიანღა! გიხაროდეს!
აჰა, მიმონე!
ხომ გაიმარჯვე, საზიზღარო!
მაშ, ინეტარე,
გადიხარხარე ჩემს ცრემლებზე
და ტანჯვა მწარე,
წამებათ სცვალე...
დაანთხიე წყლულს შხამ-ძირმწარე!..

—

შორს, შორს, მაცდურო,
სათნო სახით მოვლინებულო,
იყავ დევნილი ცათ, ხმელეთად,
ბნელ-ქვესკნეთამდე!
ზიზღი შენს სახელს!
ათას ოხვრით შეჩვენებულო,
წყეულიმც იყავ
უკუნითი უკუნისამდე!!..

გ. ქუჩიშვილი.

ეკონომიური ცხოვრეგის განვითარეგა.

II

პირველ-ყოფილი ადამიანის ფიზიკური (ხორციელი) არსებობა სრულიათ ბუნებისგან იყო დამოკიდებული, ბუნება ბატონობდა იმაზე და არა ის ბუნებაზე. საზოგადოთ, როგორც მცენარეულობის და ხორცეულობის მჭამელი, ძირების მთხრელი და ნაყოფის ანუ ხილის მაძიებელი ცხოველი, ჩვეულებრივ კმაყოფილდებოდა იმით, რასაც ბუნება იძლეოდა, აგროებდა ყველაფერს, რასაც კი შეხვდებოდა და ამ გზით იკვებავდა თავს. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს იგი მეტათ განუვითარებელი არსება იყო, არ იყო რაიმე ცოდნით აღჭურვილი, რომ ამ ცოდნის საშვალებით დედა-მიწიდან ცოტაოდენი საზრდო მაინც ამოეღო. ამა თუ იმ წლის მოუსავლობა, რაც, რასაკვირველია, იმ დროს ხშირ მოვლენათ ითვლებოდა, პირველ ყოფილ ადამიანს შიმშილით სიკვდილს უქადიდა, ესა თუ ის ქარ-ბუქი ქვიშით უვსებდა სასმელ წყაროებს და ისიც ხანგრძლივ წყურვილს განიცდიდა. მკაცრი და უხეირო ამინდები, კლიმატიური ცვალებადობა, სიცხე-სიცივეთ შეცვლა, ბრჭყალებიან ნადირების შიში და სხვა არა ხელსაყრელი ბუნებრივი მოვლენები მონურათ იმორჩილებდენ მას და იგი სრულიათ სუსტი იყო მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრიმიტიული ადამიანი ფიზიკურათ მეტათ განუვითარებელი და სუსტი ეგებულობისა იყო, ის სრულიათ მოკლებული იყო თანამედროვე ადამიანის ძალას, ხანგრძლივ ენერგიას; ყოველი წინააღმდეგობა, გამოწვეული იყო ეს წინააღმდეგობა ბუნებიდან თუ გარეულ ნადირებიდან, მას ადვილათ ერეოდა და განსაცდელში აგდებდა მთელ მის ფიზიკურ არსებობას. ისე რომ, ზოგიერთა თქმულებები, ვითომ პირველ ყოფილი ადამიანი დიდი ახოვანი და დეე-გმირი ყოფილიყოს, უბრალო მითოლოგიური ზღაპარია და სხვა არაფერი. პირიქით, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, სწორეთ მას ეს თვისებები აკლდა, სწორეთ ის თვისებები, რომელიც მის არსებობისათვის ყველაზე საჭირო და გამოსადეგი იყო. და ეს ფაქტი, მოვლენა ერთ იმ მიზეზთაგანია, რომელიც საგრძნობელათ აფერხებდა პირველ ყოფილ ადამიანის განვითარებას, მის წინმსვლელობას. ამ შემთხვევაში ინგლისის ცნობილი სოციოლოგი ჰერბერტ სპენსერი სრულ ჭეშმარიტებას გვეუბნება, როცა იგი გვიმტკიცებს, რომ პრიმიტიული ადამიანი საშვალოთ პატარა იყო, ვიდრე თანამედროვე ადამიანი, ამიტომ იგი განვითარების პირველ საფეხურზე, როცა ისინი მხოლოდ პატარ-პატარა ჯგუფებათ არსებობდენ და მათში ძალიან ნაკლებათ განვითარებული იყო საერთო მოქმედება, ერთათ მოღვაწეობა და მეტათ უვარგის იარაღებით იყვნენ აღჭურვილნი, დიად დაბრკოლებას განიცდიდენ, ვიდრე შემდეგში, რომ გარეული ნადირები მოეგერიებინათ, მტერი შეეშინებინათ და ნადავლი შეენახათ. იმავე სპენსერის აზრით იმ დროის ადამიანს უმთავრესათ სამი ფიზიკური ნაკლი აფერხებდა, სამი ფიზიკური ნაკლი უშლიდა ხელს მის წესიერ მსვლელობას. პირველი — თავის აგებულობით ისე სუსტათ იყო განვითარებული, რომ მას არ შეეძლო ყოველივე დაბრკოლებები, რომლებიც კი წინ ეღობებოდა, დაეძლია; მეორე — ენერგია, რომელიც კი საჭირო იყო ამ გვარ დაბრკოლებების დაძლევისათვის მას სუსტათ ქონდა; და ბოლოს, იგი ძალიან ნაკლებათ გრძნობდა ამა თუ იმ უბედურებას, ამა თუ იმ გაჭირვებას, რომელსაც იგი თითქმის დღე-მუდამ განიცდიდა. იმ დროს, როცა მთელი გარეშე ცოტათიც კი არ ქონდა დამორჩილებული, იგი არ იყო აღჭურვილი, არ ქონდა ცოტაოდენი უნარი და მისწრაფება, რომ ძლევა-მოსილი ბუნება ოდნავ მაინც დაემორჩილებინა.

სურათი სრული უნუგეშობის და უიმედობისა — იყო; ასეთ პირობებში პრიმიტიული ადამიანი ხშირათ მთელი დღეების დაკვირვების განმავლობაში ბუნების ანაბრა იყო მიგდებული, ბუნება სწყვეტდა მის ბედ-იღბალს. თუ ბუნება მზათ არას მისცემდა, იგი სისტემატიურ შიმშილს განიცდიდა, მშიერი დახეტიალობდა და თუ ბედნიერი შემთხვევა ექნებოდა და რასმე წააწყდებოდა, ერთბაშათ შესჭამდა, ერთბაშათ მოსპობდა; სულ რამდენიმე საათის განმავლობაში იგი მთელი კვირის და ხშირათ მეტს საგძალსაც გაათავებდა, ოღონ კი ქონოდა რამ სათქვეფი. იგი მუდამ ასეთ ორ უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ერთი მეორეს საწინააღმდეგო პირობებში არსებობდა. ცნობილი ეტნოგრაფი და პრიმიტიულ ხალხების ყოფა-ცხოვრების მკვლევარი ბაროვი აფრიკის ნახევრათ ველურ ბუშმენებზე მოგვითხრობს, რომ ისინი ან ყელთამდე გამძღრები არიან, ან და სრულიათ მშიერებიო. თითქმის ყველა პირველ ყოფილ ხალხებში მოგზაური მეცნიერები ერთხმათ ამტკიცებენ, რომ ველური ადამიანები ერთბაშათ გასაოცრათ ბევრს სჭამენ და ინელებენ კიდეცო, ეს ყოფილა მათი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება. ასეთმა მდგომარეობამ კი, ე. ი. დროგამოშვებით ზედმეტმა შიმშილმა, დროგამოშვებით ზედმეტმა გამაძღრობამ, პრიმიტიულ ხალხებში განავითარა ერთგვარი ფიზიოლოგიური თვისება, წარმოშობა ერთგვარი ფიზიოლოგიური. გარეგანი ნიშანი, რომელიც გამოიხატებოდა შედარებით განვითარებულ და ქვევით დაშვებულ ღიპში. პირველ-ყოფილ ადამიანს უზომო ჭამისაგან დრო გამოშვებით ძალიან ეზრდებოდა ქვევითა, ანუ, როგორც მდაბიო ხალხი იტყვის ხოლმე, პატარა მუცელი. უპროპორციონალურათ (უზომოთ) იყო აგებული, მის ტანში ერთგვარი ზომიერება არ იყო დაცული. იგი მთელი თავის მოყვანილობით დაბალ რასის ბავშვებს უფრო წააგავდა, ვიდრე თანამედროვე კულტურულ ადამიანს.

როცა პირველ-ყოფილ ადამიანს და მის თანამოძმეს ხანგრძლივ შიმშილის დროს შემთხვევა ექნებოდათ მარჯვე ქვის გასროლით ამა თუ იმ გარეული ნადირის მოკვლისა, გამგელებულები დაეცემოდენ და უმალვე ძვლიან ხორციანათ გადაყლაპავდნენ. თვითეული ინდივიდუმი სწრაფათ ჩანთქავდა, რასაც კი მოახელავდა; მონახვა, გაფრთხილება, საზრდოს გამოზოგვა იმათ არ იცოდენ. რასაც მისი მუცელი აღარ იტევდა, რასაც ველარ მოერეოდა, უპატრონოთ მიაგდებდა და უსარგებლოთ დაალპობდა. ტომსონი მოგვითხრობს, რომ ბუშმენები მაგ. ისეთ თვისების მუცლებით, კუჭებით არიან აღჭურვილები, ისინი ჩვეულებრივ უფრო გარეულ, მტაცებელ ნადირებს წააგავან, მათსავით ერთბაშათ მეტის შეჭმაც შეუძლიან და ხანგრძლივი შიმშილის გადატანაც. ამ გვარსავე ცნობას იძლევა მეორე უფრო ცნობილი მკვლევარი კოხრანი, რომელიც გვიამბობს, რომ მე რამდენჯერმე შემთხვევა მქონდა ჩემი თვალით მენახა იაკუტი ანუ ტუნგუზი, რომელმაც ერთი დღის განმავლობაში ორმოცი გირვანქა ხორცი შეჭამაო. ყველა ეს ველურ ადამიანებში ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი

ადამიანი, რომლის ჭამა-გამოკვება უბრალო შემთხვევაზეა დამოკიდებული, რეგულიარულათ არ ხდება, რომელიც ჩვეულებრივ არა საიმედო და მუდამ საეჭვო გზით—ნადირით ირჩენს თავს, გამართულია ისეთ კუჭის მოწყობილობით, რომლის მეოხებითაც მას შეუძლია უზომო საჭმელი მიიღოს და თან ატაროს.

გულუბრყვილობა, ბავშური უზრუნველობა, საზოგადოთ პირველ ყოფილი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. სრული სიმართლე და სამაგალითო შედარებაა, როცა პრიმიტიულ ადამიანს ბავშს ადარებენ, მუდმივ ბავშვათ აღიარებენ. ბავშვთან ბევრი რამ საერთო აქვს, ბევრში ემგზავსება. მიუხედავათ მუდმივ გაჭირვებულ მდგომარეობისა, მუდმივ აუტანელ პირობებისა, პირველ ყოფილი ადამიანი ჩვეულებრივ უზრუნველია, მხიარული და უდარდელია. იგი ისეთ გულგრილობით და სტოიკურ უგრძნობლობით ეკიდება მთელ გარემორტკმულ ცხოვრების უკუღმართობას, ნივთიერ გაჭირებას. მეორე მხრივ სულ პაწია უკმაყოფილობა, სულ პატარა დანაკლისი სისხლის დაღვრამდის ააღელვებდა, თავს სასიკვდილოთ განწირავდა. მისი ფლეგმატიური სულიერი მდგომარეობა ყოველ პაწია მოტყუების შემდეგაც კი მას თვით მკვლელობამდის მიიყვანდა. ველური ინდიელები, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკაში ცხოვრობენ, ეტნოგრაფების აზრით, დიდათ ემგსავსებიან პატარა ყმაწვილებს; ბავშვებივით ცოტაზე გამხიარულდებიან და ცოტაზედაც დაღონდებიან. სამხრეთ ამერიკის ტიპის ველურებზე მოგვითხრობენ, რომ უკეთუ რომელიმე ველური ტიპუსი ქვას ფეხს წამოკრავს, გაბრაზებული დააფრინდება მას და ძაღლსავით ღრინვას დაუწყებს. უქეიფობა, მუდმივი დარდიანობა, მუდმივი უზრუნველობა, მუდმივი უნდობლობა, ცუდ-უბრალოთ სიცრუის მოლაპარაკეობა, მუდმივი უანგარიშობა; აი, პირველ ყოფილ ადამიანის და პრიმიტიულ ხალხების დამახასიათებელი თვისებები. აფრიკაში მომგზავრებელი ბურტონი მეტათ დამახასიათებელ სურათებს იძლევა აქაურ ველურ ხალხის ცხოვრებიდან; იგი თავის მოგზაურობის შენიშვნებში სწერს, რომ აღმოსავლეთ აფრიკის ველური ხალხები საზოგადოთ ერთსა და იმავე დროს კეთილი გულისანი არიან და ბოროტისაკო, ომის და ბრძოლის მოყვარული და ფრთხილი-მოშიშარი;. იმავე წუთში ჩაფიქრებული და მოყვასისადმი დაუნდობელი, ცხოვრების მოყვარული და ამავე დროს ცუდ-უბრალოთ თავის მკვლელი, გაუმაძღარი და მოყაირათე, მაგრამ იმავე წუთს მფლანგავი და უაზრო გაუფრთხილებელი. ასეთია პრიმიტიული ადამიანების ეკონომიური არსებობა.

(შემდეგი იქნება).

შვარცი.

ქართლის რაინდი.

სოფელ ჩრდილისა და დეისის გლეხებს თავადი გიორგი ამილახვარი ადმინისტრაციის დახმარებით ფულებს ახდევინებს. ამის შესახებ სახელმწიფო დუმაში შეკითხვა იქნება შეტანილი. ამიტომ, საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ არის ან რას წარმოადგენს ეს თავადი, რომლის მოქმედების შესახებ სახელმწიფო დუმამ ცალკე მსჯველობა უნდა იქონიოს? მით უფრო სასარგებლო იქნება მისი გაცნობა, რომ ჩვენი აზრით ეს „სახელგანთქმული“ თავადი ჩვენი ცხოვრების ტიპიური მოვლენაა. გლეხებთან მის განწყობილებაში ნათლათ გამოსჭვივის მთელი ქართლის გლეხობის მდგომარეობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ, როგორც „ფოკუსში“, თავმოყრილია უფრო ღია ფერები.

ამიტომ ვაძლევთ ჩვენ თავს ნებას გაგაცნოთ ის მემამულე, თუმცა მისი პიროვნება სრულიად არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს იგი მხოლოდ როგორც ტიპი...

გიორგი ამილახვარი გახლავთ გორის მაზრის ერთი შეძლებული თავადთაგანი. მამა მისი ოთარი სცხოვრობდა სოფელ ოთარშენში (ქართლში). იქვე ცხოვრობდა გიორგის ბიძა კონსტანტინე. თავადი ოთარი უფრო ქეიფის მოყვარული და მხიარულათ დროს გამტარებელი კაცი იყო. თავადი კონსტანტინე წარმოადგენდა ნამდვილ ფეოდალს, სასტიკს, შეუბრალებელსა და შეუწყნარებელ მებატონეს. მფლობელი აუარებელი ადგილებისა, ის მუდამ დავაში იყო. ადგილ-მამულის შეძენის სურვილი მა'ძვალ-რ'ილში ქონდა გამჯდარი და ამ ნიადაგზე ხშირათ უხდებოდა შეტაკება მეზობელ მემამულეებთან, უფრო ტინის ხიდელ გლეხებთან, რომელთა ნდიდარი და ნაყოფიერი ადგილები თავადს მოსვენებას არ აძლევდა.

როგორც ეგეფა თავადი, თავადი კონსტანტინეც ისე ფიქრობდა, რომ ღმერთმა დედამიწა მხოლოდ თავადებისთვის გაჩინა. ის ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ ტინის ხიდის გლეხები დაბატრონებოდენ იქვე ახლო მდებარე მშვენიერ ადგილებს, არ იხდიდენ თავადის სასარგებლოთ არავითარ ხარკს და სარგებლობდენ მიწით, როგორც მესაკუთრენი... მთელ თავის სიცოცხლეში თავადი კონსტანტინე გლეხებს ედავებოდა, მაგრამ ვერას გახდა. გლეხები ეოვლოთვის მაგრათ უხვდებოდენ თავადს და იმ ადგილებს, რომელიც თავის ოფლით ქონდათ გაბოხიერებული, არავის ანებებდენ... მოკვდა თავადი კონსტანტინე და ტინის ხიდელების ჯავრი სამარეში ჩაყვა.

მამისა და ბიძის სიკვდილის შემდეგ მთელ მათ ქონებას თავადი გიორგი ამილახვარი დაეპატრონა, რომელმაც ბიძა მისის დაწყებული საქმე განაგრძო. პირველ ეოვლისა თავის ეურადღება თავადმა ტინის ხიდელებს მიაქცია. მან გადასწყვიტა, რათაც უნდა დაჯდომოდა, გლეხებისთვის ადგილები წაერთმია. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ მან მოიპატიჟა შეიარადებული ჩაჩნები, რომელთაც ადგილ-მამულის დაცვა ჩაბარა. ხშირათ დაეცემოდა ხოლმე გიორგი ტინის ხიდელებს თავის ჩაჩნებით, ხშირათ მოსვლიათ მასა და გლეხებს შეტაკება, რომელიც ადამიანის სიკვდილითაც გათავებულა, მაგრამ თავადის შეიარადებულმა ჩაჩნებმა ტინის ხიდელი გლეხები ვერ შეაშინეს. მხნეთ და ენერგიულათ იცავდენ ისინი თავიანთ საკუთრებას, არ ანებებდენ თავადს ერთათ-ერთ სარჩოს, ერთათ-ერთ წყაროს ცხოვრებისას. მეტათ გამწვავდა მათ შორის დამოკიდებულება. ტინის ხიდელები და გიორგი ამილახვარი ორ მოპირდაპირე, მოსისხლე მტრის ბანაკს წარმოადგენდენ. და რით გათავდებოდა მათ შორის საქმე, არავინ იცოდა, რომ 1905 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოესწრო. ამ წელს, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთში და ჩვენში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელმაც ქართლში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. როგორც ჭკვიანი კაცი, გიორგი ამილახვარი მიხვდა, რომ სოფელში მას ადარ დაედგომებოდა, დროებით თავი მოარიდა ადელვებულ გლეხებს და სადღაც გადმალა... მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა, და გიორგი ამილახვარიც გამოჩნდა თავისი მხლებლებით... მან კარგათ შეიგნო რეაქციის ძალა და მნიშვნელობა და, სამართლე უნდა თქვას კაცმა, არავის არ უსარგებლია დღევანდელი მდგომარეობით ისე მარჯვეთ, როგორც ეს თავად გიორგიმ მოახერხა. დაბრუნდა თუ არა „სამშობლოში“, მან მოითხოვა იმ ზარალის ადგენა, რომელიც მას ვითომ არეულობის დროს მოუვიდა. ოცდა ათი შეიარაღებული კაცით ის დადიოდა სოფლიდან სოფლათ და ძალით ახდევინებდა გლეხებს ფულს. შეუბრალებელი იყო ამ დროს თავადი. არავითარი თხოვნა და მუდარა მასთან არ გადიოდა. გლეხებს სტემდენ, ავიწროებდენ, ტეავს აძრობდენ და მშვენელი კი არსად იყო... იმ დროს, როცა უბრალო მომაკვდავს დანის ტარების უფლებაც არ ქონდა, თავადი გიორგი თავით-ფეხამდე შეიარაღებული, ოცდა ათი შეიარაღებული ჩაჩნებით სოფელ-სოფელ დადიოდა და ხარკს კრეფდა. ადგილობრივი ადმინისტრაცია ამას ხედავდა და არავითარ საშუალებას არ ხმარობდა, რომ ამ უსამართლობისთვის ბოლო მოელო, მით უფრო, რომ შეიწროებული გლეხები ირწმუნებოდენ, რომ თავადი ამილახვრის მათ არაფერი მართებთ... გლეხების ხვეწნა-მუდარას: დაგვიფარეთ გიორგი ამილახვრის უკანონო მოქმედებისგანო, ადგილობრივი ადმინისტრაცია უყურადღებოთ სტოვებდა... და დიდებული თავადიც, წათამამებული ამითი, თავისუფლათ დათარეობდა სოფლებში და სჩადიოდა ყოველ-გვარ უკანონობას. ბევრი მაგალითი შემეძლო მოგეყვანა ამის დასამტკიცებლათ, მაგრამ ამ ჟამათ მე მხოლოდ ერთს წარმოგიდგენთ. რასკვირველია, ამ რეაქციის დროს გიორგი ამილახვარი ტინის ხიდელებსაც არ დაიგიწყებდა... მოიარა ქართლი, მოიარა იმერეთი და ბოლოს ტინის ხიდში დაბანაკდა. ეს იყო ოებერვალში, 1909 წ. იმ დროს თავად გიორგი ამილახვარის რაზმში 50-ამდე კარგათ შეიარაღებული ჩაჩნ-ლეკები ირიცხებოდენ... გიორგი ამილახვარმა იფიქრა – ამაზე უკეთეს დროს ვერ შევარჩევო და გადაწყვიტა ძალით დაეპყრო ის ადგილები, რომლის დაპყრობას ისე ლამობდა აწ განსვენებული ბიძა-მისი კონსტანტინე... დაიპყრო კიდეც... აღშფოთებულმა გლეხებმა ეს ამბავი მაშინვე აცნობეს გორის მაზრის უფროსს, მაგრამ მისგან დახმარება ვერ მიიღეს... პირ იქით, მაზრის უფროსმა გლეხები „ბუნტოვჩიკად“ იცნო და რამდენიმე მათგანი კიდეც დაუპატიმრა... მაშინ ტინის ხიდელებმა ამოირჩიეს სამი კაცი და თფილისში გაგზავნეს გუბერნატორთან... აი ის თხოვნაც, რომელიც ამ სამმა ამორჩეულმა კაცმა გუბერნატორს მიართვა.

ლაზარელი.

(დასასრული იქნება).

სოციალიზმი და ანარქიზმი.*

(ბროშ. ნ. რაიხესბერგისა)

თარგმანი.

III

სოციალისტები და ანარქისტები ხშირათ ჩივიან, რომ მათი მოწინააღმდეგე წრეები მათი პრინციპების სრულ უცოდინარობას იჩენენ და ისეთ მცნებებს აწერენ ხოლმე მათ, რომელიც არც სიტყვით და არც საქმით არასოდეს არ გამოუთქვამთ და აზრათაც არ მოსვლიათ; რომელთაც სრულიად არავითარი კავშირი არა აქვთ მათ აზრებთან. სამწუხაროთ უმრავლეს შემთხვევაში მათი ასეთი საჩივარი საფუძვლიანია. ყოველ წამში რწმუნდები კაცი, რომ ძლიერ ბევრს არაფერი გაუგონია სოციალიზმსა და ანარქიზმზე გარდა ისეთი შაბლონური და უაზრო ფრაზებისა, როგორიცაა ცნობილი ბრალდებანი—ვითომ ამ სწავლის მიმდევართ სახელმწიფოს დამსხვრევა უნდოდეთ, ოჯახის მოშლა, უფლებრივი წესრიგის და საკუთრების მოსპობა; ვითომც მათ უნდოდეთ ზნეობის დამახინჯება, პიროვნების თავისუფლების წართმევა და სხვა ასეთი საშინელებანი!

აი, ასეთია ეს გაცვეთილი ფრაზები, რომელთა შინაარსი არც კი ესმის ხშირათ იმათ, რომელნიც დიდი რიხით წამოისვრიან ხოლმე ამ ფრაზებს. ამასთან, ერთმანეთში ურევენ და ვერ არჩევენ ორ დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე სწავლას; ესენი კი ერთმანეთზე ისე არიან დაშორებული, როგორც ცა და მიწა, განსხვავებული—როგორც ცეცხლი და წყალი, ან კიდევ დღე და ღამე. მათი აზრით ორივე (სოციალიზმი და ანარქიზმი) ერთია, ორივე ერთი ხის ტოტია.

თუმცა ამ ორ დიდ-მნიშვნელოვან სწავლას, დიდმნიშვნელოვანთ მარტო იმითაც, რომ ორივე საშინელი სისწრაფით ვრცელდება ყველა განათლებულ ქვეყნებში, უფრო მეტი ყურადღებით და სერიოზულათ უნდა ეკიბოდეს ყველა, ვიდრე ამას შვრება ეგრეთ წოდებული განათლებული ნაწილი თანამედროვე საზოგადოებისა. თვით თავგამოდებული მოწინააღმდეგენი სოციალიზმისა და ანარქიზმისა ბევრათ უფრო მეტ სარგებლობას პოვებდენ, რომ დაწვრილებით გაეცნობოდენ ამ მცნებათა (დოქტრინების) პოსტულატებს (დასკვნათ) და თავს დაანებებდენ იმ ფუჭ მოჩვენებებთან ბრძოლას, რომელნიც მხოლოდ მათი ავათმყოფი ოცნების ნაყოფია.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ აქვე, რომ ანარქიზმის შესახებ კიდევ აქვს რამე გასაარკვეველი საბუთი განათლებულ კლასების ზევით დასახელებულ უცოდინარობას, რადგან დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ხანდისხან ისეთ ბოროტებას ჩადიოდენ ზოგიერთები, ანარქისტების სახელით, რომ სამართლიანი ზიზღი გამოიწვიეს ყველა ზნეობით სპეტაკ ადამიანებში, იმდენათ უმიზნო და უაზრო იყო ეს მოქმედებანი.

ასეთ მოქმედებათა გამო ისეთი ჩრდილი მიადგა ანარქიზმს, რომ მან დაკარგა კიდეც თავისი მნიშვნელობა, უკან დაიხია; დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში კი ნელ-ნელა დამყარდა აზრი, რომ ის პირნი, რომელნიც

* იხ. „მოგზ.“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთ თავს ანარქისტებს უწოდებენ, წარმოადგენენ უბრალო, კაცის მკვლელთა ფანატიურ ბრბოს და ამიტომ მათთან ბრძოლაში არც ისე საჭიროა საშვალებათა გარჩევა. მაგრამ საქმის დაახლოვებით გაცნობა გვარწმუნებს ასეთი შეხედულების უსაფუძვლობაში. როცა ანარქიზმის მიმდევართა მოქმედებას უკვირდები, რწმუნდები, რომ თვით იმ უპატიებელ ანარქისტული მოქმედების საფუძველს შეადგენს იდეა, რომელიც ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ საყურადღებოა, ვიდრე თვით თანამედროვე საზოგადო წყობილების საფუძველი. დაწვრილებითი გაცნობა ანარქიზმისა კი გვარწმუნებს, რომ უკანასკნელს უფრო მეტი საერთო აქვს თანამედროვე წყობილების იდეასთან, ვიდრე სოციალიზმთან, რომელსაც ანარქიზმი ეთანხმება მხოლოდ საბოლოო მიზნის, თანამედროვე საზოგადოების ძირითადათ შეცვლის შესახებ. ვისაც ანარქიზმთან ბრძოლა უნდა, მან უპირველესათ უნდა მიაქციოს ყურადღება იმ დედა აზრს, რომელზედაც აგებულია ანარქიზმის სწავლის შენობა, ხოლო არ უნდა დავიწყოს კი, რომ იდეასთან ბრძოლაში ხიშტი და თოფი ერთ-ოდეს არ ყოფილა გამოსადეგი და სარფი საშვალება.

ამ მოსაზრებით, ჩვენ განვიზრახეთ, რამდენათაც ეს შესაძლებელია მოკლე მიმოხილვაში, განვიხილოთ არსებითი მხარე და შინაარსი ამ ორ ცნებათა—ანარქიზმისა და სოციალიზმისა; განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ ამ ორ სწავლათა ურთ-ერთთან დამოკიდებულებას, მით უფრო, რომ საზოგადოებაში გავრცელებულ ცრუ წარმოდგენას ამ დამოკიდებულების შესახებ არა ერთხელ გამოუწვევია უბედურება და ხანდისხან პირდაპირ წარმოუდგენელი კონფლიქტი (უთანხმოება) მოუხდენია, თუმცა ადვილი ასაშორებელი კი იქნებოდა ასეთი მოვლენა, საქმე რომ სხვანაირათ ყოფილიყო დაყენებული.

IV

როგორც ზევითაც ვთქვით, სოციალიზმიც და ანარქიზმიც უარყოფენ თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებას. ამ უარყოფის მიზეზი ორივე მიმართულების წარმომადგენელთა სიტყვით ის გარემოებაა, რომ სანამ არსებული წყობილება არ შეიცვლება, შეუძლებელია არა თუ სოციალისტური და ანარქისტული იდეალების განხორციელება, არამედ თვით ამ წესწყობილების დამცველთა სურვილებიც განუხორციელებელი დარჩება.

როგორც სოციალიზმი, ისე ანარქიზმი გვარწმუნებს და გვიმტკიცებს კიდეც, რომ თანამედროვე საზოგადოებამ ერთი მხრით სრულიად დაივიწყა თავისი მაღალ ფარდოვანი იდეალები, ხოლო მეორე მხრით ვერც იმ სამოქალაქო დაწესებულებათა დაცვა შეიძლო, რომელთაც იგი თავის საძირკვლათ თვლიდა. თავისუფლებამ, საკუთრებამ, ოჯახმა და სხვა ამისთანა საუნჯემ, რომლებითაც ეგრე ამაყობს ჩვენი ბურჟუაზიული საზოგადოება, დაკარგა თავისი ნამდვილი შინაარსი, როგორც სოციალისტები და ანარქისტები ირწმუნებიან, და დღეს ყოველ შინაარსს მოკლებული არიან.

ცუდათ არის თავისუფლების საქმე იმ საზოგადოებაში, სადაც ხალხის უმრავლესობა ისეთ გაჭირვებაში ცხოვრობს, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც არ მიანათებს ბედნიერების შუქი.

არც საკუთრების საქმეა უკეთ მოწყობილი. საკუთრება დღეს მცირე ნაწილის პრივილეგიაა (უპირატესობათ) გადაქცეული, დიდ უმრავლესობას კი მხოლოდ თავის მარჯვენა შერჩენია და მით, ისიც თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, შეუძლია გაჭირვებით იცხოვროს, სული შეირჩინოს.

შეიძლება კი ოჯახის სიწმინდეზე და ბედნიერებაზე ლაპარაკი ისეთ საზოგადოებაში, საცა უმრავლესობისათვის უიმედო ოცნებათ არის გამხდარი თვით ოჯახის დაარსება, სადაც ასიათასი ოჯახი ფაქტიურათ (ნამდვილათ) უკვე დაშლილია და დაქცეული, რადგან ერთი ოჯახის შვილნი მთელი დღის, კვირის, თვის და ხშირათ წლების განმავლობაში ერთმანეთს მოწყვეტილი არიან და ბოლოს ყოველ ზნეობრივ კავშირსაც კარგავენ?

ასეთ ბრალდებას უყენებენ წინ თანამედროვე საზოგადოებას სოციალისტები და ანარქისტები. მაგრამ ეს კი არ არის მათი სისტემების განსაკუთრებული და დამახასიათებელი თვისება. ასეთი კრიტიკა სავსებით ეთანხმება ზოგიერთ სხვა სოციალ-პოლიტიკურ სწავლასაც, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს დანარჩენში სოციალიზმთან და ანარქიზმთან. უკანასკნელთა დამახასიათებელი და ჭეშმარიტი, ნამდვილი არსების გამომხატველია ერთი მხრით მათი **დადებითი მისწრაფებანი**, ე. ი. ის, თუ რისი განხორციელება უნდათ და მეორე მხრით ის **საშვალებანი**, რომლითაც მათ უნდათ თავისი მისწრაფებანი გაახორციელონ ცხოვრებაში.

ამ მხრით სოციალიზმის და ანარქიზმის გზებიც ძალიან დაშორებული არიან ერთმანეთს, ორივე სისტემა თავისი საკუთარი გზით მიდის მიზნისაკენ, და თუ ერთმანეთს ხვდებიან, მხოლოდ ურთიერთშორის ბრძოლაში, როგორც შეურიგებელი მტრები.

სოციალიზმსა და ანარქიზმს საფუძვლათ უდევთ ორი სხვადასხვა, მუდამ ერთიმეორის წინააღმდეგი პრინციპი (დედა აზრი) და მით არის გამოწვეული ამ ორ სისტემათა ხასიათის სხვადასხვაობაც: ერთი მხრით არის პრინციპი **საზოგადოებრივობისა**, მეორე მხრით კი—პრინციპი **ინდივიდუალობისა** (კერძო პიროვნებისა).

ხსენებულ პრინციპთა წინააღმდეგობა არსებობს მას შემდეგ, რაც ფილოსოფიური აზროვნება დაწყებულა, და მიუხედავათ იმისა, რომ სოციალიზმის საფუძვლათ დადებულმა სოციალ-მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს მათი მორგების შესაძლებლობა, დღემდე ეს შეუძლებელი გამხდარა. ამის მიზეზი უმთავრესათ ის არის, რომ ანარქისტების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალობის პრინციპის განმარტებას ყოველთვის **ყოველგვარი საზოგადოებრივობის**, ბუნებრივობისა, გონივრობისა და სასურველობის უარყოფამდე მიყავს ადამიანი.

V

სოციალიზმის აზრით თვითეული ადამიანი ანუ პიროვნება მთელი თავისი ფიზიკური და ზნეობრივი არსებით არის იმ პირობათა ნაყოფი, რომელშიაც ის დაიბადა და გაიზარდა. მისი გრძნობა და აზრი, მისი სურვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და მისწრაფება წარმოდგება იმ შთაბეჭდილებათა ზეგავლენით, რომელიც მის სულს თანდათან შეუთვისებია გარემო არესაგან. მაგრამ ამ არეში ადამიანი ყველაზე უფრო ახლო ისევ ადამიანთან დგას და ამიტომ მას დღიდან მისი დაბადებისა ერთიანათ შებოჭავს ხოლმე ის სულიერი ატმოსფერა, რომელიც ვითარდება ადგილობრივ ცხოვრებაში; თავიდანვე ის ამ უკვე მზამზარეულ და დასრულებულ ატმოსფერაში მოყვება ხოლმე და მას ემორჩილება, თუმცა, რასაკვირველია თვით ატმოსფერაც იცვლება. თანდათან, ისე როგორც თვით გარეგანი ბუნება. ამ ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების ზეგავლენით შექმნილი კანონები ისეთივე აუცილებლობით და სისწორით მოქმედებს, როგორც გარეგანი ბუნების კანონები.

კერძო პირი აქ პოულობს უკვე შემუშავებულ ენას, რომელზედაც მან უნდა ილაპარაკოს; პოულობს აგრეთვე გრძნობათა, აზრთა, რწმენათა და შეხედულებათა კომპლექტს (კრებულს), რომელნიც იძულებულია მიიღოს ზნეობის და სარწმუნოების სახით, ან კიდევ როგორც შეუმცდარი სწავლა და ფილოსოფიური სისტემა, და ყოველივე ამას ისე ითვისებს, რომ ვერც კი ამჩნევს.

აქედან ღებულობს ის თავის საკუთარ რწმენებს, აზრებს, თავის სიმპატიას და ანტიპატიას და სხვ. და უძლურია შექმნას რაიმე ახალი, რომელსაც არ ქონდეს გადგმული ძირი უკვე არსებულში. ამნაირათ, ადამიანს გვერდით ცხოვრობს საზოგადოება თავისი საკუთარი ცხოვრებით, რომელიც შეიცავს თვით კერძო ადამიანთა ცხოვრებას, როგორც თავს შემადგენელ ნაწილს და სივრცით, რასაკვირველია სჭარბობს კერძო პირთა ცხოვრებას.

რასაკვირველია, საზოგადოების ცხოვრების გაცნობა შეიძლება მხოლოდ კერძო პირთა ცხოვრების გაცნობით, მაგრამ უკანასკნელს შინაარსს აძლევს უმთავრესათ საზოგადოების ცხოვრება, რომელიც შეადგენს კერძო ცხოვრებათა საერთო ჯამს.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი კ. ფ. მგელაძე.

განცხადებანი

„ჩვენი გაზეთი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

| ქალაქ გარეთ | | |